


619
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქმე
№ 9 სექტემბერი 1967



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„პარტიის სათავეში, რომელიც ხელმძღვანელობდა ისტორიაში უდიდეს რევოლუციას, იდგა გენიალური მოაზროვნე, ურუქვი რევოლუციონერი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, — ვკითხულობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში დიდი ოქტომბრის სოციალსტური რევოლუციის 50 წლისთავის გამო, — იგი იყო რევოლუციის იდეური სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ლენინმა შესწირა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას. იმპერიალიზმის ეპოქის ახალ ისტორიულ პირობებში მან შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმის თეორია, აიყვანა იგი ახალ სიმაღლეზე“.

საქართველოს მშრომელები, თავიდანვე მტკიცედ გაჰყვნენ ლენინის გზას. ლენინის სახელი, როგორც ყველგან, ისე საქართველოშიც, საყოველთაო სიყვარულით იყო და არის გარემოსილი.

ზემოთ დაბეჭდილ აქამდე უცნობ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ის წუთები, როცა ხალხი ეთხოვებოდა ლენინს და სიტყვას სდებდა განუყრელად ევლო მის მიერ ნაჩვენები გზით. საქართველოს მთავრობის სასახლის (ამჟამად, პიონერთა სასახლე) შესასვლელთან დგას ლენინის დიდი პორტრეტი; საპატიო ყარაულში დგანან მარცხნივ მარიამ ორახელაშვილი და მარჯვნივ — წითელი არმიის ოფიცერი; წინა პლანზე მუხლი მოუყრიათ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელ მუშაკებს — აქ არიან ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ვანო სტურუა, შალვა მათიკაშვილი, ლევან ლოლობერიძე და სხვები. ჩვენ ყველას ამოცნობა ვერ მოვახერხეთ.

ეს ფოტო რედაქციას გადმოსცა ჩვენი უურნალის თანამშრომელმა, თელაველმა მასწავლებელმა მიხეილ ცაკაშვილმა. სურათს იგი წააწყდა ვასილ ბულდიაშვილის ოჯახში. ვასილი იმ დროს, რომელსაც ეს სურათი ეკუთვნის, მუშაობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აპარატში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერდილით!




№ 9 (370) სექტემბერი, 1967 წ

გამოცემის წელი 45-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიგაჯარო-სამხეობრივი ჟურნალი



ზენოქანი



ლუდვიგ პინჩუკი

მოსკოვის ერთ მყუდრო შენახვევში, ორ ქუჩას — მცირე ნიკიტისა და პატრიარქის ტბებს რომ აერთებს, 1904 წლის ზამთრის პირზე, პატარა სახლის წინ, მარხილი გაჩერდა. მოსკოვის ობერ-პოლიცემისტრმა ტრეპოვმა მუხლებიდან თოვლით მოფოჭული ქერა გადაიძრო და მარხილიდან გადმოვიდა. წინკარში სწრაფად შევიდა და მსახურს უბრძანა, მისი მოსვლა სახლის პატრონისათვის მოეხსენებია. ტრეპოვი ცოტა გაჭაგრებული იყო, რომ აუარებელი საქმეებითა და საზრუნავით დატვირთულს კიდევ ოფიციალურ ვიზიტებზე სიარული უხდებოდა, მაგრამ საქმარისი იყო სასტუმრო ოთახში შემოსული დიასახლისი დაენახა, რომ სახეზე უტკბილესი ღიმილი მოფენოდა. ტრეპოვმა ფეხი ფეხს შემოაჭრა, დეზეები ააწკარუნა და დიასახლისის მოწიწებით ხელზე ემთხვია.

ოჯახის დიასახლისმა — სამოქალაქო მრჩევლის მეუღლემ, მოსკოვის უღამაზესმა ქალმა-მარია ფოლოდორის ასულმა ანდრეევამ მილოცვაზე თავაზიანად მადლობა გადაუხადა, სტუმარს სკამზე მიუთითა. ობერ-პოლიცემისტერი სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და დარბაისლური საუბარი გააბა.

იმ დროს, როდესაც ტრეპოვი მყუდრო სასტუმრო ოთახში თავაზიანად საუბრობდა და ხურნელოვან ჩაის მიირთმევდა, მისი სამშებრო პოლიციის გამოსცდილი აგენტები მთელ მოსკოვში დასუნსულებდნენ და უჩინარ „გრაზს“ — ბოლშევიკ ე. ბ. ბაუმანს ეძებდნენ. ბაუმანი კი ამ დროს დამშვიდებული იქნა ამ ლამაზი დიასახლისის ბუღულარში...

მარია ფოლოდორის ასული იშვიათი სილამაზის ქალი იყო. ნიჭიერი პიანისტი და მომღერალი, ბრწყინვალე დრამატული მსახიობი, სტანისლავსკის საყვარელი მოწაფე. ის თავისუფლად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას და ფრიალდ განათლებული ადამიანი იყო.

ანდრეევამ, როგორც კარგ მსახიობზე, ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. მე მინდა იმათგან მხოლოდ დღე ტოლსტოის სიტყვები მოვთქვანო.

„ასეთი მსახიობი, — წერდა ტოლსტოი, — ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია, მე დავრწმუნდი, რომ ის უღამაზესი და საუცხოო ადამიანია“.

ამაზე მეტი რა უნდა ენატრა ახალგაზრდა ქალს! ბუნებით ცოცხალს, საქმიანს და ტემპერამენტთან მარია ფოლოდორის ასულს არ შეეძლო ჩაკეტილიყო ვიწრო პირადი კეთილდღეობის მარჩლოში და ეცხოვრა იმ წრის ინტერესებით, რომელსაც მისი მეუღლე, მეფის დიდი მოხელე უღლიაბუხსკი ეკუთვნოდა.

წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს ანდრეევამ თავის ვაჟს იურის აუყვანა შინ მომსვენელი მასწავლებელი — მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი დიმიტრი დუკიანოვი. ის მოწინავე რევოლუციური იდეების მქონე ახალგაზრდა იყო, და აი სწორედ მან დაუახლოვა მარია ანდრეევა ახალგაზრდა მარქსისტების წრეს, აქ პირველად გაიცნო ამ შესანიშნავმა ქალმა მარქსის უკვდავი მოძღვრება და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება და ბედი კომუნისტური პარტიის ბრძოლებს.



მარია ანდრეევა (1903 წ.).

ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ მუშაობაში, თავის სახლში მალავდა ბოლშევიკ ბაუმანს; სარგებლობდა ცნობილი კაპიტალისტის საბა მოროზოვის ნაცნობობითა და მეგობრობით და მის ფაბრიკა-ქარხნებში ბევრ რევოლუციონერს აწყობდა სამუშაოდ.

მარია ანდრეევა მონაწილეობას იღებდა ტაგანის ციხიდან ბოლშევიკების გაქცევის მოწყობის საქმეში, ასრულებდა კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის დავალებებს, აგროვებდა თანხებს ლენინის „ისკრისათვის“.

1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის წინა დღეებში ანდრეევა ბოლშევიკურ გაზეთ „ახალი ცხოვრების“ მთავარი გამომცემელია. ამ გაზეთს თვით ლენინი რედაქტორობდა.

როდესაც 1905 წელს მოსკოვში შეიარაღებული აჯანყებისათვის შუადგება დაიწყო, აქაც ანდრეევა აქტიურ მონაწილეობას იღებდა. სწორედ ამ დროს მის პირად ცხოვრებაში დიდი ცვლილება ხდებოდა.

1908 წელს მოსკოვის სახსატრო თეატრი საგასტროლოდ ყირიმში გაემგზავრა. როდესაც თეატრში „მედა გაბლერი“ მიდიოდა, წარმოდგენას ჩეხოვი და გორკი დაესწრნენ. ალექსი მაქსიმეს-ძე მოიხიბლა ანდრეევას თამაშით და ჩეხოვს სთხოვა, მსახიობი ქალი გაშაცანია.

იმ დღიდან გორკი ყოველთვის მოსკოვში ჩასვლისას, ანდრეევას ეწვეოდა ხოლმე, — ხან პოლიციისაგან დევნილი ამხანაგის დამალვას სთხოვდა, ხან დუხობორებისათვის დახმარებას ან არა და თავის ლიტერატურულ გემგებზე ეთათბირებოდა.

ასე მტკიცდებოდა ამ ორი შესანიშნავი ადამიანის მეგობრობა. მათ აკავშირებდა ინტერესთა ერთობა, იდეური მრწამსი. თანდათან ეს მეგობრობა უფრო ძლიერ და ღრმა ფრქვევებაში გადაიზარდა... და 1904 წელს მარია ანდრეევა ა. მ. გორკის მე-

უღლე გახდა. იმ ხანებში ის ემშვიდობება სამხატვრო თეატრსაც და მთელი ძალღონით ებმება რევოლუციურ ბრძოლებში.

1905 წელი. დეკემბრის აჯანყების დღეები. ამ დროს გორკის და ანდრეევას მოსკოვის ბინა, რომელიც ვოლდეფინკას და მოხოვასის კუთხეში მდებარეობდა, გადაქცეული იყო ისეთ ცენტრად, სადაც თავს იყრიდა ყველა ინფორმაცია აჯანყების მსვლელობაზე. ეს ბინა თავშესაფარი იყო აჯანყების უშუალო მონაწილეებისათვის, მათ აქ შეიქმნოთ ერთმანეთს შეხვედროდნენ, საქმეზე უსაუბრათ, დაესვენათ და დანაყრებულნივე კიდეც.

გარეგნულად ამ სახლში ცხოვრება თითქოს მშვიდად მიმდინარეობდა. გორკი თავის კაბინეტში იქნა და მუშაობდა. კაბინეტის გვერდით პატარა ოთახში კი რაზმელები ახალი ტიპის ბომბების ხმარებას ასწავლიდნენ ამხანაგებს. სასადილოში მთელი დღის განმავლობაში მავიდაზე ცხელი საშოვარი იდგა, იქვე მარია ფოლოდორის ასული ფუსფუსებდა და რაზმელებს უმასპინძლებოდა.

როდესაც ამ ლამაზ დიასახლისს უცქეროდი, ვერავინ ვერ დაიჭერებდა, რომ სწორედ ის იყო დამაკავშირებელი პირი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მოსკოვის სამხედრო ტექნიკურ ბიუროს შორის, იმ ბიუროსი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ აჯანყების ტექნიკურ მომზადებას.

მოსკოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ გორკისა და ანდრეევას ბინას მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები იცავდნენ. ისინი სასტუმრო ოთახში, ბუხრის წინ, ნოსზე ისხდნენ და გორკისათვის ხელი რომ არ შეეშალათ, დაბალი ხმით მღეროდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს. როდესაც გაიგეს, რომ ანდრეევას და გორკის დაპატიმრება არ აცდებოდათ, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ისინი ფინეთში გახიწა.

გორკი და ანდრეევა ფინეთიდან შვეციაში მიემგზავრებინ, იქიდან გერმანიაში.

ბოლოს გორკი მიემგზავრება ამერიკაში, რათა ამერიკელი ხალხის წინაშე ამხილოს რუსეთის თვითშეპრობებლობა და თავის საჯარო გამოსვლებით შეაჯროვოს პარტიისათვის ფული. იქ, ამერიკაში გორკი წერს თავის რომანს „დედას“, ამ წიგნის პირველი შიკთხველი და მისი ბრწყინვალე წარმატების წინასწარმეტყველი მარია ანდრეევა იყო.

ეროპაში დაბრუნების შემდეგ ანდრეევა და გორკი იტალიაში კუნძულ კაპრიზე დასახლდნენ. რევოლუციის წინა ხანებში ანდრეევა სამშობლოში დაბრუნდა. ოქტომბრის შემდეგ დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი მის ცხოვრებაში.

პეტროგრადში თეატრებისა და სანახაობების კომისიის დანიშვნის დროს არჩევანი ანდრეევას ხვდა, მასში საუცხოოდ იყო შერწყმული ბელოვანის ტემპერამენტი, მეომრის შურდრეკელი ნებისყოფა და ნიჭიერი მსახიობის მომხიბვლელობა.

სწორედ რევოლუციის ამ პირველ წლებში მარია ანდრეევა ძალიან დაუმეგობრდა საბჭოთა თეატრის გამორჩენილ მოღვაწეს კოტე მარჯანიშვილს.

მარია ანდრეევამ ქერ კიდევ ახალგაზრდობაში შეიყვარა საქართველო და ქართველი ხალხი, შეიყვარა ის ქვეყანა, სადაც პირველად გაიფურჩქნა მისი ნიჭი, ნიჭი მსახიობისა. ის 1888 წელს ჩამოვიდა თბილისში, სადაც მისი პირველი ქმარი ა. ა. უღლიაბუხსკი ამერიკა-კავასიის რკინიგზის მშენებ-

ჩვენ და შენვედრები



რუსულან ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძე ფოტის პორტში.

როგორც კი ოთხი განუყრელი მეგობარი — აკაკი და გიორგი წერეთლები, კირილე ლორთქიფანიძე და მამაჩემი — ნიკო ნიკოლაძე თავს ერთად მოიყრიდნენ, ქუთაისში, შაშიდების პანსიონში, ისეთი გაცხარებული დავა და კამათი დაიწყო, რომ სხვა ყველაფერი ავიწყლებოდათ. მერე, როცა დაიღლებოდნენ, სერიოზულ კამათს თავს ანებებდნენ და „მეორე გუნდზე“ გადადიოდნენ, ე. ი. ხუმრობას იწყებდნენ. ჩვენ, პატარებს, ყველაზე მეტად ეს წუთები გვიყვარდა, უმაღლესი შემოგვხვედით ოთხ მეგობარს ან ოთახში, ან გარეთ, ეზოში, ხის ჩრდილში და სიცოცხლისაგან ვტიროდით. ისინი კი იხსენებდნენ თავიანთ სახელო წლებს, ნიკოლოზ პირველის დროინდელ გიმნაზიას, „თათრის მოღების“ ხანას და ა. შ. მათ ხომ ერთი და იგივე სკოლა ჰქონდათ გავლილი ქუთაისშიც და რუსეთშიც.

მამაჩემს საოცარი მეხსიერება ჰქონდა, გიორგი — გატაცებული გადმოცემი იყო, ხოლო აკაკი ხომ იყო, რაც იყო, მართლაც რაღაც უხადლო მთხრობელი. საუბარი ხშირად გადასწვდებოდა თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებს, სწავლების იმდროინდელ სისტემას, პირველ რიგში ე. წ. „ადგილობრივი ენების“ მასწავლებლებს, რომლებიც, მათი მონათხრობის მიხედვით, ჩვენ რაღაც ანგლოტურ ფიგურებად წარმოგვიდგებოდნენ. მართლაც, იმ დროს, მასწავლებელთა შორის გვხვდებოდნენ სრულიად შეუფერებელი, უმეტესი ადამიანები და მათი გამოთქმები ჩვენს თერგდალეულებს ერთგვარ სპეციფიკურ ენად, პირობით ფორმულებად ჰქონდათ გადაქცეული.

ყველაზე უფრო მეტ ამგვარ სასაცილო ამბებს თურქული ენის მასწავლებელზე იხსენებდნენ. იმ დროს, თურქული, ფრანგული ენასთან ერთად, რატომღაც ყველასათვის სავალდებულო ყოფილა. მიუხედავად სევასტოპოლის დაცემით გამოწვეული განწყობილებისა (1855 წელს), თურქულს ყველგან მოღებოდა ახსენებდნენ, იმდენად უფიცები, რომ ერთმა მოლამ, სახელად რაბიშმა საათის ცნობაც არ იცოდა და გაკვეთილს მხოლოდ შუადღის წარბაზის გასროლის შემდეგ იწყებდა; ეს იყო თბილისის გიმნაზიაში; როცა ამ მოლამ გლობუსი დაიწია, იკითხა რა არისო; უთხრეს თუ არა მისი სახელი, თურმე საშინლად გაბრაზდა და წამოიყვარა: „ტი სამ გლუბოსტ“. ამ მოლას ყველაზე ხშირად იხსენებდა „დროების“ გამომცემლის სტეფანე მელიქიშვილის ძმა პეტრე (1850-1927), რომელიც მისი მოწაფე იყო. პეტრე ათი წლით უმცროსი იყო ჩვენს თერგდალეულებზე, მაგრამ გაზეთის საქმე იხიც დაუახლოვდა ოთხ განუყრელ მეგობარს. საუბრის დროს რაბიშს „პეტრეს მოლას“ ეძახდნენ. აკაკის ძალიან მოწონდა რაბიშის ფრაზა და ხშირად, როცა მოკამათეს ვერ დარწმუნებდა, უმაღლესი მიხვდიდა: „კარგი აწი, გააჭირეთ საქმე“ — და მერე მოულოდნელად — „ტი სამ გლუბოსტ!“

თბილისელს არც ქუთაისელი მოლა ომარ-ეფენდი ჩამორჩებოდა, ორივეს ქოშები უტარებიათ. და როგორც კი რამე არ მოეწონებოდათ, ამ ქოშს ან პირდაპირ ფეხიდან სახეში ეხრადნენ თავის მოწაფეს, ანდა, კიდევ უფრო დიდი დანაშაულისათვის ქოშს ხელით წაძრობდნენ და უბედურ მსხვერპლს გააფთრებთ თავში ჩაუკაკუნებდნენ. იყო კიდევ უფრო მაღალი სასჯელიც: „დერჟი ემუუ“; დაიდრიალებდა თურმე მოლა ეფენდი და საცოდავ მოწაფეს ჩასტაცებდნენ ხელს და გრძელ სკამზე დააწვენდნენ გასაროვნებად.

გახსებია, რა ხშირად ვაიხსოვდა ეს „დერჟი ემუუ“ თერგდალეულთა საუბარში, როცა სიტყვა მეფის მოხლებზე, კერძოდ ცენზორებზე ჩამოვარდებოდა.

„პეტრეს მოლა“ ჩვენების მოლაზე უფრო მომთმენი მასწავლებელი ყოფილა. ქუთაისელი მოლა, ე. ი. ომარ-ეფენდი თურმე მოწაფის ყოველ წაბორძიკებაზე, მამოჩვენებურად გაუბერებული პასუხის დროს, პირდაპირ ყარაშანის ხმით დაიდრიალებდა თურმე: „დავოლნა, ხადის, ტარბეტ ნე ლუბლუ-უი“. ან უფრო მოკლედ: დავოლნა, ხადის, და-ა!

ძალიან ხშირად იმეორებდნენ ამ „ხადის“-ს მუდამ მხიარულად მოკამათე მეგობრები; როგორც კი რომელიმე მათგანის აზრი დაუსაბუთებლად მოეჩვენებოდა,

ნებოდათ, მხიარულად მიძახებდნენ: „დავოლნა ხადის“, რასაც რატომღაც უსათუოდ დაუმატებდნენ გიორგისა და მამაჩემის საყვარელ, უკვე სრულიად სხვა ხასიათის ფრაზას: დაგიღრეკია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო. ეს გამოთქმები ყველაზე ხშირად „კვალის“ რედაქციაში გვეხმოდა, ორი წერეთელი, „თავადი“ და „ახალური“, ე. ი. აკაკი და გიორგი ერთმანეთს რომ შეეცამათებოდნენ.

ამ „დაგიღრეკიას“ და „ხადის“ მამა, გიორგი და აკაკი ნარდის თამაშშიაც იყვნენ. ნარდი მათ საშინლად უყვარდათ, დიდ აზარტში შედიოდნენ და ისე ურტყამდნენ ფიცარზე ნარდის კაცებს, რომ მესამე ოთახში ისმოდა მათი მხიარული წამოძახილები: აბა, შაში, კამათლო, არ მიღალატო, შაშუ-ბეში პა-პა-პა, დერჟი ემუუუი ობ, დუ-იქე, დაიქცა შენი ოქაში დაგიღრეკია მეფეო...

მათ ყველაფერში ჰქონდათ ასეთი „საკუთარი ენა“ გამოუშვებელი, როგორც ტომ სიოერის ტაბის ცელქად შეთქმულ მოწაფეებს, ამას გიორგი ხშირად აღნიშნავდა სიცოცხლით.

თერგდალეულებს მრავალი ასეთი „მარგალიტი“ ჰქონდათ აჩემებული. მათ საუბარში ხშირად გაიგონებდით — „ზრრ-სტრრ, ჩეტირ-ნადცატ“ და „პუხ და პრახ“.

„ზრ-სტრ“-ს ამბავი ასეთი იყო: ძველი ინტორიის გაკვეთილზე გიმნაზიაში ვიღაც დიდი რევიზორი სწევდით; ციფრულდასახულ მასწავლებელს, რომელიც მუდამ იმას მოითხოვდა, რომ მოწაფეებს „ნაწილად წაერაკრაკებიანათ“ გაკვეთილი, დაფასთან ერთი თავისი ყველაზე საინტერესო ფაქტს გამოუყვარდა: აბა, გაკვეთილი მიმასუხეო და მასაც იცოცხლეთ, ცხელს ოფლში გაწურულს უბასუნია:

„ალ-ლეკხანდარ მა-კედონელი, სინ ფილიპა მაკ-ე-დონ-სკა-ლო, ზრრრ... სტრრრ... ჩეტირ-ნადცატ, ბილ ვე-ლი-კი პალ-კავოდეც“.

თავწარდაცემულ და ყურთგამოყრებულ რევიზორს მოწაფე ვერც შეუჩერებია ვერც ერთხელ, ვერც უკითხავს, ეს ზრრ-სტრრ რაღა არისო? აკაკის და გიორგის რწმუნებით, რევიზორს თვითონაც მომასუხესავით გაეყიო „გად-მოუქააფს“ თვალები, ბოლოს კი პირიც დაუღია გაოცებით. საქმე კი შემდეგში იყო: ეს „ზრ-სტრ-14“ ეწერა იქ, ხლაც სახელმძღვანელოს მე-18 გვერდი თავდებოდა და მითითებული იყო „ზრი სტრანიცუ 14“, შემოკლებით „ზრ-სტრ. 14.“

ამ ზრრ-სტრრ-საც ძალზე დიდი ვასავალი ჰქონდა ოთხივე მეგობრის საუბარში. როგორც კი ვინმეს მათ ირგვლივ „მამოჩვენებია“ დაეტყობოდა, მსჯელობაში მას „ზრრ-სტრრ თოთხმეტს“ მიძახებდნენ, თვალების კრეტინული გამოშტერებით, ან კიდევ, თუ კამათის დროს რომელიმე მათგანი ძალიან შორს შეტრიავდა ფილოსოფიაში, ღანაჩენები რ-ბგერის გამოყრუებული ხას-გასმით შეაჩერებდნენ: ზრრრ... სტრრ... გეყვარაო!

„პრახ ი პრუხის“ ამბავი კი ასეთი იყო: იმავე მასწავლებლის კლასში მეორე მოწაფეს ებასუნია: „მაკედონიან რაზბილი იხ ვ პუხ ი პრახ“. მასწავლებლის კითხვაზე — „კტო ბილ იხ პოლკოვოდეც?“ მოწაფეს უბასუნია — „პუხ ი პრახ“.

აკაკი პირდაპირ შეყვარებული იყო ამ „პუხ და პრახში“, გიორგი წერეთელი კი აღტაცებით ამბობდა — ამ ჩვენმა სხვიტორელმა ეს უცნაური გამოთქმაც კი დააქართულაო.

ზემოხსენებულ სიტყვას აი რა კონტექსტში ხმარობდნენ: გაუხსრახებული სკოლა, პუნ-პრახად ჩაფლავება, ან კიდევ მოწინააღმდეგის პრახობრებით განადგურება. ეს უცანასკნელი გამოთქმა აკაკის ეკუთვნოდა; მას იმდენჯერ „გაულამაზებია“ ეს პრახ-პრუხის ამბავი, რომ იგი ჭირ პრუხ და პრახად უქცევია, შემდეგ კი... პრახი-პრუხად! ამას აღტაცებაში მოჰყვდა გიორგი: რა ნამდვილი იმერელიაო აკაკი! ეს „ა“ და „უ“ რა მარჯვედ გადაუნაცვლებიაო: ტყაბა-ტყუბი, ბაკი-ბუკი, კანტი-კუნტად, პრახი-პრუხად! — პრახი-პრუხით, ბრახი-ბრუხით; რატომ არის ეს „იმერული“ და არა, საერთოდ, ქართული? იცინოდა თვით აკაკი. — ბრახი-ბრუხი — საერთო ქართულია, პრახი-პრუხი კი მართლაც ჩვენი წრის კუთვნილებაო, უბასუნებდა „იკოლოცის“ ავტორი და ეს მართლაც ასე იყო. თუნდა თურქული სიტყვა შეხვედროდათ რიონისპირელ

* იხ. „დროშა“, № 5.

მეგობრებს, თუნდ ფრანგული ან ინგლისური, მათ პირში ყველაფერი იმერულ კილოს იძენდა და მხატვრულ იმერიზმად იქცეოდა, ე. ი. იმ სიცოცხლით სავსე იმერლობის ამონაფრთხევად, რომელიც ასეთ არაჩვეულებრივ ახალგაზრდულ ხალისს მატებდა მათ მეგობრობას და რაღაც გამოუთქმელო თბილ ატმოსფეროს წარმოშობდა მათ ირგვლივ, მოხუცდავად სერიოზული კამათისა და მრავალგზის მძაფრი შეხლა-შემოხლისა.

ეს მათი ძალიან თავისებური მეგობრობა, ჩემი აზრით, ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული ოთხთვიან ბიოგრაფიაში; ერთად შეყრის დროს ყოველ მსოფანში თითქოს იდვიტებდა დაუდევარი ახალგაზრდული სულსიკვებება და კაპუტური უდარდლობა; მე რატომღაც მჩვენებდა, რომ კერძოდ ორივე „სახიერელი“ უდავოდ ჩვენს ცი, 10-12 წლის მოწაფეებზე, უფრო ახალგაზრდები იყვნენ ხასიათით, რადგან სასკოლო ცვლქობაშიც კი წინ გვსწრებდნენ, მათ „გული უცვლად“ ჩვენთან ერთად, ვიორგის თქმით; ასე მაგალითად პეტრე მედლიშვილის მოგონებები იმაზე, თუ როგორ სტანჯავდნენ უაზრო გაზე-პირებით ბავშვებს და რაოდენ ცუდად იყო დაუყენებელი რუსული ენის სწავ-ლება, სამ მეგობარს უმხიარულენ... ლეკურად ჰქონდათ გადაკეთებული, მათი საკუთარი გიმნაზიის ფრანგული გაკვეთილების ინსტრუქციების მსგავსად. „გე-ყოფათ კამათი, — წამოიძახებდა აკაკი, როცა ჩვენ ბავშვები მათ შემო-ვხვევოდით ხოლმე, — ახა, ახლა ჩვენებური ლეკური გავაჩადოთ, ამ ვაჟბატონ-ქალბატონებისათვის“, და დაიწყებდა სერიო!

ეს „ლეკური“ ასეთი წარმოშობის იყო: სახელმძღვანელო „დრუგ დე-ტი“ — თურმე წერიითი საჯარო-სკოლა ჰქონდა დარბთული საშინაო დავალებების-სათვის; კითხვები ასეთი იყო: რას რითი ვაკეთებთ? რას რისთვის ვიყენებთ? და ა. შ. თბილისელ მოსწავლეებს კი არც უხსნიდნენ რისთვის წეს ფრანგული ტირე; არც ამ ცარიელი ადგილების შევსებას სხსოვდნენ წერილობით ან ზე-პირად, ამის ნაცვლად პირდაპირ აკითხვნიდნენ: „რუკი დღია — ი, დღია — ი, ნოგი დღია — ი, დღია — ი; და ა. შ. ოდნავ წაბორძიკებაზე კი უყვიროდნენ: „ახ, ტი ასილო, სტუბაი, ჭონჯალი პრადავაი“. ეს ჭონჯალი სახუმროდ პირვე-ლად „დროების“ რედაქციას აუღია, და მას აქეთ, როგორც ვი ვინმე არ ივარ-გებდა რამე საქმეში, მასზე იტყოდნენ: „ჭონჯალი! მახლას! რუკი დღია — ი, დღია — ი; ჩვენს თერგალეულებს კი ეს ხუმრობა აუწერელი ოსტატობით... ლეკურად ჰქონდათ გადაკეთებული. — ახა, ტაში უმარვილებო — შეუდგებოდა ერთ-ერთი სახიერელი მაგიდაზე ბრაზუნს, ამას „პეტრეს ლეკური“ ერქვა მათს ენაზე, ე. წ. „ფრანგული ლეკურისაგან“ გამოსარჩევად, რომელსაც გიორგი, სი-ცილით „ტარანტულა-ლეკურს“ ეძახდა. მამაჩემის მოგონებებში ნახსენები მარ-გოს მეთოდი და კურსი ცნობილი იყო უაზრო წინადადებების გადაბოთი და ბრუნვით. თერგალეული მეგობრები ხშირად მიესალმებოდნენ ხოლმე ერთმა-ნეთს ერთ-ერთი ასეთი „მარგალიტი“, მაგალითად, გაუწოდებდნენ ხელს მი-სალმებისა და ეტყოდნენ: „რუკი დღია — ი“.

ფრანგული ლეკური ასე წარმოშობილია: აურჩევით ყველაზე უფრო მარ-ჯვედ გამოსაყენებელი და „ფრანცუზების“ ცხვირით გამოთქმის მარჯვედ გა-საქართულებელი ვარჯიში და ისე მხიარულად... გაუმერტლებიან ოგი, რომ „პეტრეს ლეკურისთვისაც“ კი უჭონდნათ; ჭერ კიდევ სკოლაში ყოფნის დროს ამისთვის მართლაც ტარანტულას რითმიანი სავარჯიშო აუღდათ: დეიდა ჩემი იქაა, დეიდა შენი იქაა და ა. შ. ეს ვარჯიში უადრესად იმერულ კილოზე გადაუ-ტანიათ, მახვილის ე-ასოზე გადაადგილებით (მა ტანტ ე-ლა) და სამივე ფორმის მრავალჭერ გამეორებით, ჩქარგამოთქმების ყაიდაზე, ასეთი რამ მიუღიათ: მა-ტანტელა-ტატანტელა-სატანტელა, ტაში, ბიჭებო, მატანტელა-სატანტელა-ტატანტელა და ა. შ. მაგიდაზე საუკეთესო ლეკურის გამოყვანით და მხიარული ჩამოვლით; ამას თავიანთი მოწაფეობის წლებში აკეთებდნენ, რამდენჯერ დაუ-სჯათ თურმე მათი კლასი ამ გადამდები ლეკურით გატაცებისათვის. ოთხივე მე-გობარს ძალიან უყვარდათ თავიანთი ყრმობისდროინდელი ეს შესანიშნავი ფი-ლოლოგია და ხშირად იმეორებდნენ, ახლა უკვე მხოლოდ სიტყვიერად.

საერთოდ, მათი ყოველი შეხვედრიდან რაღაც გამოუთქმელოდ ახალგაზრ-დული, და მოწაფურად მხიარული სიმხნევე და ოპტიმიზმი გამოსჰქვიოდა; „კორილე პატრიარქის“ ფონი კიდევ უფრო ხაზს უსვამდა დანარჩენი სამის ცვლქ, მოწაფურ ახალგაზრდულ ბუნებას. მამიდა კატოსაგან რამდენჯერ მოხ-ვედრიათ ამისათვის: — ბერა, გიორგი, ბერა აკაკი, ასე რამ გაგაბაღანავათო! — და ხშირად ეს მართლაც ასე იყო. აკაკის ძალიან ამხიარულებდა მამიდა კატოს ამგვარი შეცხადებანი.

ეს მხიარული ატმოსფერო იყო დამკვიდრებული ეკატერინე და ანასტასია ნიკოლაძეების ძველ მამამაპურ სახლში, თერთ ხოდთან, რიონის იმ კლდეოვან ნაბირზე, რომელზედაც გიორგის არა ერთხელ უთქვამს: ეს ჩვენი რიონი ყვე-ლაზედ უკეთ აძლევს ხაზს თერგის ურჩ ტალღებსო. აკაკიც დიდი პატრიარქი იყო რიონისა და ფოთში „გაშლამტალახებული“ ფაზისის დასამცირებლად მან ერთხელ მხიარული კბილი გაკრა მამაჩემს (ამას მათ ენაზე აკაკის „კბი-ლების აქავება“ ეწოდებოდა):

— დერუი ემუჟი, რა აწვირთებუღია დღეს ეს ჩვენი რიონი, — წამოიძახა ერთხელ ადრეცებით აკაკიმ და იქვე მამას გადაჰკრა სიცილით: შენი ფოთის ბაყაყებით ამოვსებული ფაზისი კი ნუ გგონია ეს ჩვენი გეფხვიო!

— რატომ უნდა მეგონოს? — მიიღო მან მხიარული ხურდა, — აკაკი ხომ არა ვარ, რომ არც გეოგრაფია ვიცოდებ და არც ისტორიაო!

— ბიჭოს, ამას უყურეთ, — წამოიძახა აკაკიმ საერთო სიცილში — ამ ფოთმა რა ყურადღად შემოგვეყენაო!

ადგილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ გაგვახიარულა ბავშვები ჩვენი უფროსების ასეთმა ურთიერთდაკომპლიმენტებამ.

საერთოდ, პატარებს სულ არ გვესმოდა მამასა და ილიას მხოლოდ დიდე-ბისათვის მოსაწვდომი საუბარი, ან კიდევ მამაჩემისა და კირილეს. ბაასი „უწე-რეტლებოდ“. მაგრამ როგორც კი სამი, ერთი-მეორესთან გაჭიბრებული ზემო და ქვემო იმერული შეხვედრებდნენ, მაშინვე მოველოდით რაღაც მხიარულს გამოვლევას; არც მტუხუნდებოდა ჩვენი მოლოდინი. რაც უნდა გაუგებარ „კანტი-კონტურ“ ე. ი. ფილოსოფიურ თემებზე არ ყოფილიყო მათი კამათი, ადრე თუ გვიან მისი დროულიანი ბურუსიანი მამე ჩვენითვისაც საინტერესო „კლანჭი“ გამოჩნდებოდა აკაკის ან გიორგისა. და ამის მოლოდინში პირადად მე ხშირად მთელ საათებს ვატარებდი მათ გვერდით.

და არც წამიგია. რამდენი რამ გამომხილა წარსულიდან და მიმანინს მო-მაგლისათვის ამ კამათ-საუბარმა, რომლის აზრს შემდეგ ან დედა ამიხსნიდა ხოლმე თბილისში, ან მამიდები ქუთაისშივე. უფრო ხშირად კი თვით გიორგი მისხნიდა თავისივე სურვილით და თაოსნობით. მას არაჩვეულებრივ იზიდავდა „ნორი ნიდავის დამწვავება“ საბრძოლო მოსავლისათვის.

ამიტომ დღემდე კარგად მახსოვს მათი გაუთავებელი კამათის არა ერთი ეპიზოდი. შესანიშნავი იყო ეს მათი შეხვედრები, მათსავით ღრმა კონტრასტე-ბით სავსე: ხან ჩერნიშესკისა და დობროლუბოვის ტრაგედიას იხსენებდნენ, ხან ლონდონისა და პარიზის პარლამენტებში გადავუვდიით ფიქრით, ხან აფრი-კის კოლონიების ევკატორიულ სიტუციში. მაგრამ რაზედაც არ უნდა ჩამოვარ-დნილიყო ღაპარაკი — ტრანსვაალსა თუ კამერუნზე, მაროკოსა თუ ალჟირზე, მეგობრები აუცილებლად კვლავ საქართველოს დაუბრუნდებოდნენ, მათ ვერა-ფერო დაავიწყებდა საშრომლოს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

როცა საქართველოს წარსულ-მომავალზე ჩამოვარდებოდა ხოლმე სიტყვა, ფოთი, ბათუმი და ქუთაისი ამ სამი მეგობრის ცხარე კამათის ამოღებრეტელი წყარო ხდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენი ამაგი დასდო მამამ ფოთის პორტის დაარსებას. ერთხელ, მორიგი შეხვედრის დროს გიორგი წე-რეთელმა მამაჩემს უთხრა:

— თვით მამბურგი რომ გადმოიტანო მაგ შენს ფოთში, მე მიანც ჩვენი ბაგრატიის მთის ნანგრევების ფერფლს წინ დავაყენებ ჩვენი ერთსთვის, ომდე-ნად ძლიერი ამამოძრავებელი ძალაა ხალხისათვის მისი წარსული დიდების შეგრძნობა და მაგალითი!

— მშვიტ-მწყურვალი ხალხისათვისაც? — მიიღო მან პასუხი.

— მშვიტისათვის კიდევ უფრო! — ერთხმად წამოიძახეს გიორგიმ და აკაკიმ.

— დიახ, კიდევ უფრო, — გაიმეორა აკაკიმ, — მშვიტისა და დაჩაგრული-სათვის. თამარისა და შოთას ეს პორტრეტები, — მიუთითა მან მამიდების დიდი ოთახის კედელს, — უკეთ გაუძღვებიან გამარჯვებისაკენ, ვიდრე შენი ფოთის ხუთი პორტი და ათი ელევატორი.

— უსათუოლი! — მხურვალედ დაუდასტურა გიორგიმ.

— არა, მეგობრებო, ჩვენი ერის მომავალზე უკეთ უნდა დაფიქრდეთ! ერთხელ მამამ, გიორგიმ და აკაკიმ ერთმანეთი კინაღამ დაჭამეს იმავე ფოთის ირგვლივ კამათის დროს. მისივე თქმით, თავის ჩვეულებრივ ბუნა-კალზე შემჭდარმა აკაკიმ მამაჩემს უთხრა: მწერლობას ზღვაში ლოდების ყრა (ე. ი. მასივების ჩაყენა) როგორ ამჯობინე, კრონშტადტელი თერგალეული კალმის დეზერტირად რამ გადაგაქციაო! ხომ იცო, რომ ჩემი ლექსის „ზღვაო აღელდის“ ბოლო ტაბი უშუალოდ შენ გიმინებხსო:

ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი.
და სიბნელის დროს — ელვასა...

გიორგი წერეთელს ძლიერ უყვარდა ეს ლექსი (თვითონ გამოაქვეყნა „კვალში“) და ახლაც წამოიძახა: ოჰ, ეგ რა სწორია, რა კარგად არის ნათ-ქვამი...

— რაკიდა მაგაში მეთანხმებით, — თქვა აკაკიმ, — მაშ ჩემი ლექსი „სხვა-დასხვა ერის“ გაიხსენეთ. იქ სწორედ თქვემსნაირ ხალხზე მაქვს ნათქვამი:

აკაკის ვარდი და ია,
ნაცვლად. დათესეს ზედ პური.
მთები გახვრიტეს, კლდე აქეს,
ზღვა ზღვას შეურთეს არხითა.

გიორგი წერეთელი, რომელიც იმავე დროს, დიდად იყო დაინტერესებუ-ლი მრეწველობის განვითარებით, ამ კამათის დროს, ხშირად ცდილობდა ორი-ვე მხარე დაეხლოებინა და შეერიგებინა. მაგრამ ორ პოლუსს შორის ყოველ ჩადგომაზე საწყალ გიორგის ორივე მხრიდან მოხვედებოდა ხოლმე — გაჩუბდო იეშუიტო, ნუ ლოილოლობო!

აკაკი სიცილით ამბობდა, რომ გიორგის ეს „ლოილოზიმი“ მამამისისაგან აქვს თანდაყოლილი. თერგალეულ მეგობრებს კარგად ახსოვდათ ექვთიმე გორისელის წერილი, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა მამათა და შვილთა ბრძოლა.

როცა გიორგი ცოცხალი აღარ იყო, აკაკიმ ჩვენს სახლში გაიხსენა მთელი ეს კამათი და მამაჩემს უთხრა:

— გახსოვს, ნიკო, მე და შენ ფოთზე რომ შევეკამათებოდით, განსვენე-ბული გიორგი კი ცდილობდა, ორივე მხარე შეერიგებინეთ: თამარ შეფიც ვინდა და რკინა-ბეტონიც! მართლაც, ფოთის პორტი, თბილისის რკინიგზა, სურამის გვირაბი და ჭიათურის შტო რატომ უნდა დაუპირისპიროს კაცმა ქა-ჭების დამძლევ ტარიელსა და ავთანდილს?

იმ დღეს მეგობრებმა კიდევ დიდხანს ისაუბრეს გიორგი წერეთელზე.



1967 წლის 11 ივნისი. ეს თარიღი ჩვენი მუსიკის მოყვარულებს კარგად ახსოვთ. იმ დღეს, პარიზში უაკ ტიბოსა და მარგარიტა ლონგის სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის დასკვნით სადამოწმე, სცენაზე გამოვიდა უიურის თავმჯდომარე, რომელმაც გამოაცხადა:

— პირველი ადგილი, კონკურსის ლაურეატობა, დიდი პრიზი და სპეციალური პრიზი რაველის „ბოშა ქალის“ საუკეთესო შესრულებისათვის მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს — ნანა იაშვილს.

როგორც ცნობილია, უ. ტიბოსა და მ. ლონგის სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე, დებულების მიხედვით, ერთი რომელიმე ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის, დაწესებულია ცალკე სპეციალური პრიზი. კონკურსის მთელი ისტორიის მანძილზე ჯერ არასოდეს არ უოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მუსიკოსს, ერთდროულად ორი მაღალი ჯილდო დაემსახურებინოს. ნანამ კი ეს შესძლო: საერთაშორისო კონკურსის ლაურეატიც გახდა და რაველის „ბოშა ქალის“ საუკეთესო შესრულებისათვის უიურის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა.

ჩვიდმეტი წლის ქართველი ქალიშვილის ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება მართლაც რომ დიდად საამაუო და სასიხარულოა.

ნანა იაშვილმა ვიოლინოზე დაკვრა ექვსი წლიდან დაიწყო.

გ. სარაჯიშვილის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს — ლუარსაბ იაშვილს სამი



გაზიანა,

ქალიშვილი ჰყავს — მარინე, ირინე, ნანა; სამივენი საბჭოთა მევიოლინეთა მუსიკალური სკოლის სახელგანთქკი წარმომადგენლები არიან.

ვინ არ იცნობს მარინე იაშვილს, — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატს, რომელსაც თავისი ონტაქტობით ბევრჯერ გაუოცებია მსოფლიო მუსიკალური სამყარო. მარინეს მომდევნო და — ირინე, ამიერკავკასიის მუსიკოს შემსრულებელთა პირველი კონკურსის ლაურეატი, ამჟამად თბილისის კონსერვატორიაში მუშაობს პედაგოგად.

აი ისინი — დები იაშვილები — ნანა, ირინე და მარინე (სურათი 1). აქ კი ამ ოჯახის მესამე თაობა უურადღების ცენტრში (სურათი 2). ირინეს და მარინეს შვილებს — მანანასა და ნათელას ახლავთ ვიოლინოსაკენ მიუწევთ გული, ბაბუა ლუარსაბს ეს ამბავი ძალიან ახარებს (სურათი 3). აქ კი კარგად ჩანს, თუ როგორ ესმარებიან დეიდას მეცადინეობის დროს მომავალი სახელგანთქმული მევიოლინეები (სურათი 4).

იზიანა,




ფოტო ოთარ თურაპიანი

ნანა



ზობოზ განმარტობის ჩინებები



მა სი-ცუნის ერთ-ერთი უაღრესად ცნობილი ჩინელი მუ-სიკოსი და კომპოზიტორია. მისი ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ბოლო ხანებამდე მათ ასრულებდნენ ჩინეთშიც. მაგრამ სიმკაცრემ და უგუნურობამ, რასაც კომპოზიტორი წააწყდა „დიდი კულტურული რევოლუციის“ პროცესში, აიძულა იგი გაქცეულიყო ამ ქვეყნიდან. მა სი-ცუნის ნაამბობი იმაზე, თუ რა გადასდა მას სამშობლოში, გამოქვეყნდა საზღვარგარეთ. ავტორი ვალ-მოგვცემს არა მარტო იმას, რის მოწმეც თვითონ იყო, არამედ იმასაც, რაც სხვისაგან აქვს გაგონილი. და თუმცა იგი არ ეხება ბოლო დროის ამბებს, არ ეხება ჩინეთის ტრაგედიის მიზეზებს, მისი ნაამბობი მაინც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ უსწორდება ჩინურ კულტურასა და მის მუშაობას ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობა.

მე მუსიკოსი ვარ; მე ვაფასებ მშვიდობასა და მყუდროებას, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს მუშაობას. ამასთან, მე ჩინელი ვარ და ძალიან მიყვარს და პატოს ვცემ ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს. ხოლო ის, რაც დამართა ჩინეთს — არის ტრაგედია, რომელთანაც შედარებით ყველა უსიამოვნებანი, გადატანილი პირადად ჩემს მიერ, არარაობად მიმაჩნია. „დიდი კულტურული რევოლუცია“, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება, წარმოადგენს მოძრაობას, რომლის სისასტიკეც, ძალმომრეობა, ტერორი, სიბრძავე და სიცივე აღემატება ყველაფერს, რის მოწმენიც ვიყავით ბოლო ჩვიდმეტი წლის მანძილზე, არსებითად კი, აღემატება ყველაფერს, რაც ისტორიამ იცის. ყოველივე ამან გაანადგურა ჩინეთის ინტელიგენცია.

როგორც ბევრი სხვა ადამიანი, პარტიაში, თუ მის გარეთ, მრავალი წლის მანძილზე თვალსაჩინო როლს რომ თამაშობდნენ ჩინეთში (თუნდაც ყოველთვის არ მდგარიყვნენ ხელისუფლების სათავეში) — გასული წლის წაფხული-სა და შემოდგომის ამბებმა მეც საკონტენტში ჩამავლდა. ამ ამბებმა მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც გვაიძულა გადავქცეულიყავით ლტოლვილებად, ქვეყნად მოხეტიალე „მშვიტი აჩრდილებად“. თუ ჩემი ამბავი ჩვეულებრივის ჩარჩოებს სცილდება, ის მხოლოდ იმიტომ, რომ მე მოვხატებ ჩინეთიდან გამოქცევა. ბევრმა ეს ვერ შესძლო.

როგორ დავიწყო

როგორც მახსოვს, ეს იყო გასული წლის მაისის ერთ კვირა დღეს. ამ დღეს მე პირველად გავიგონე „დიდი კულტურული რევოლუციის“ შესახებ. ჩემი ერთი მოწაფე შინ მეწვია უვილიონოდ და მითხრა, თქვენთან სწავლას ვეღარ განვაგრძობო. „დიდი კულტურული რევოლუციისთან“ დაკავშირებით იგი გაიცხებს „ბურჟუაზიული“ აზრებისა და ცხოვრების წესისათვის. იგი ვეღარ ბედავდა შეენსავლა ვილიონზე დაკვრა.

უკვე მთელი თვეების მანძილზე ვგრძობობდი, რომ იწყებოდა რაღაც ახალი კამპანია. უკანასკნელ ხანებში ვახსიერდა თავდასხმები კინოფილმებზე, ცალკეულ ისტორიკოსებსა და მწერლებზე, რომლებსაც ბრალად სდებდნენ, რომ ისინი „წერენ წარსულის შესახებ იმიტომ, რომ დასცილდნენ აწმყუს“. ყოველ საღამოს ტელევიზიით შეტს არაფერს ვადმოსცემდნენ, თუ არა დაუსრულებულ მხილებებს ამა თუ იმ „ბოროტმოქმედზე“.

ამ „ბოროტმოქმედთაგან“ ბევრმა შემდგომში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მიუხედავად ამისა, მართალი ვითხრათ, არ შემშინებია. ჩემმა მეგობარმა, რომელიც იმავე დღეს მეწვია, მითხრა: „თქვენ არ დაგიწერიათ არც ერთი სტატია, არ ვითქვამთ არც ერთი არასწორი სიტყვა. თქვენ შემფოთებისათვის არავითარი საფუძველი არა გაქვთ“. ჩემი ერთადერთი „დანაშაული“ ის იყო, რომ ვიღებდი ხელფასს როგორც ცენტრალური მუსიკალური აკადემიის (პეკინის კონსერვატორია) თავმჯდომარე, თუმცა, არსებითად, აღარ ვმუშაობდი იქ. 1954 წლიდან, როცა ნათელი გახდა, რომ ამ სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელის როლს მხოლოდ ნომინალურად ვასრულებ, მე, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ჩამოვშორდი აკადემიის ყველა საქმეს. მთელი ძალაუფლება აკადემიაში არსებითად ეკუთვნოდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს. მე ჯერ კიდევ ვასწავლიდი ვილიონზე დაკვრას რამდენიმე სტუდენტს, მათ შორის ჩემს ვაჟიშვილს ხულონს და, ამასთან, ვმართავდი კონცერტებს პეკინსა და ჩინეთის სხვა ქალაქებში. 1968 წლის შემდეგ, როცა დასავლეთის მუსიკა მთლი-

ანად აკრძალეს, მე შინ ვიქეცი ცოლთან და ჩემს შვილებთან ერთად, ვწერდი ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

გასული წლის მაისში ჯერ კიდევ არ მქონდა წარმოდგენა, თუ რაოდენ დრამა შეტანავდა ეს ახალი მოძრაობა, არც სხვა ვინმეს მქონდა წარმოდგენა. ლი უველაფერი ის, რაც ჩვენ მოგველოდა. მდგომარეობა დაძაბული იყო, მაგრამ წარსულში კიდევ უფრო დაძაბული დღეები იყო ხოლმე, როგორც მაგალითად, 1952 წელს. ასეთ რამეებს მე შეჩვეული ვიყავი. იმულებული ვიყავი შეჩვეული. მაგრამ ივნისის დასაწყისში მაცნობეს, რომ მუსიკალურ აკადემიაში გაკრულია დაძაბაობები, რომლებშიც მე თავს მესხმია.

ერთმა მეგობარმა მიჩნია, ყველაზე უფრო კარგს იზამ, თუ შენის მხრივ თვითკრიტიკით გამოხვალ მანამ, სანამ საქმე უარესად წავაო. ჩემი მეუღლე და ქალიშვილი სტლია დაეთანხმნენ მას. მე კი ვყოყმანობდი: არ ვიცოდი, რაში უნდა მეცნო თავი დამნაშავედ, და, გარდა ამისა, წინ გამოხტომა არასოდეს არ მიყვარდა. ბოლოს და ბოლოს, ჩემმა ქალიშვილმა განცხადება დაწერა ჩემი სახელით. მასში ნათქვამი იყო, რომ მე აღფრთოვანებით რუშერ მხარს „კულტურულ რევოლუციას“, და თუმცა არ ვლიბრებდი ჩემი კონკრეტული დანაშაულის ჩადენას, მაინც გამოვხატავდი მზადყოფნას გარდასაქმნელად. ვიყიდეთ ყვითელი ქაღალდის სამი ნაჭერი, დავწერეთ ეს განცხადება დაძაბობის სახით. სათაურად წავაწერეთ „ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება“ და წავიდე ეს განცხადება აკადემიაში.

არტურმა და ანარქია

ამ დროისათვის ხუნვეიბინები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, მაგრამ „რევოლუციური მასწავლებლებსა და სტუდენტებს“, როგორც ისინი უწოდებდნენ თავიანთ თავს, უკვე შექმნილით არეგ-დარეგა სასწავლებლის მუშაობაში. კაცი, რომელსაც ჰქვია ჯაო ფინი, მუსიკალური აკადემიის ვიცე-თავმჯდომარე, ფაქტიურად ამ აკადემიის ბატონ-პატრონი იყო. როცა ჩემი დაძაბობით გა-მოცხადდებოდა იქ, ჯაო ფინმა მისი ჩამოკიდების ნება არ დამართო. მე ეტვი მაქვს, რომ მას საფარველად სურდა ჩემი გამოყენება, რათა თავიდან აეცილებინა მის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი გეგმები, მათ სასურველი შედეგი მაინც ვერ გამოიღეს, რადგან იგი მეორე დღესვე მოხსნეს თანამდებობიდან და სასტიკად გაიცხებს დაძაბობაში. მის მაგივრად დანიშნეს არმიის ოფიცერი ვანი, რომელსაც მუსიკაში აბსოლუტურად არაფერი არ ჰგებოდა. მაგრამ ერთი დღის შემდეგ ვანსაც უღალატა ბედმა — მან დაუშვა ალტერნატივა, შეეცადა არ გამოეძახა პოლიცია, რათა აღეკვეთა შეჩაბება „რევოლუციური სტუდენტების“ ორ ჯგუფს შორის.

როცა შინ წასვლა დავაპირე, საშუალო სკოლის ერთმა სტუდენტმა (სკოლა აკადემიასთან არსებობს) მის სკოლაში წასვლა მომთხოვა. იქ გარს მომეხვივნენ ვაფრთხილებული მოსწავლეები, რომლებმაც დაიწყეს რაღაცის ყვირილი ჩემს მიერ დაწერილი ერთი მუსიკალური ნაწარმოების გამო. ეს იყო ელევგია. მიძღვნილი პარტიის რაიკომის მდივნის, მამაცი ძიპო-იულიუსადმი, რომელიც დაიღუპა, როცა იცავდა თავისი ამომრჩეველი გლეხების ინტერესებს, და რომელსაც ყოველთვის მაგალითად უსახავდნენ პარტიულ მუშაკებს. დროდადრო მე ვწერდი ხოლმე ასეთ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რათა როგორმე თავიდან ავიცილებოდა უსიამოვნებანი, თუმცა ამ შემთხვევაში მე ნამდვილად ალტერნატიული ვიყავი ადამიანით, რომელსაც ეს ელევგია მივუძღვენი. მაგრამ მოზარდები გაცოფებულენი იყვნენ: „რატომ დაწერეთ ასეთი სევდიანი მუსიკა? თქვენ არა ხართ იმის ღირსი, რომ იყოთ ძიპო-იულიუსის მიმდევარი“.

რამდენიმე დღის შემდეგ სკოლიდან დამირიქეს და იქ მოსვლა მიბრძანეს. სკოლაში მე მაშინვე მოვხვდი მოღრილი სტუდენტთა ბრბოში. „ძირს ბურჟუაზიული ავტორიტეტები!“ გაიძახდნენ და ყოველი ლოზუნგის შემდეგ ვი-დაც ბლაღდა: „გაუმარჯოს მათ ძე-დუნს!“ ერთმა ახალგაზრდამ დაუყვრა: „გაუმარჯოს მა სი-ცუნს!“ ეს მან შეცდომით დაიყვრა, და ყველა დაძვკრა მას. ვიდაცამ ჩანთა მესროლა, მაგრამ გარტყმით არავის გაურტყამს. გაუნმრევლად ვიდექი. ყველაფერი არარეალურად და სასაცილოდ მჩვენებოდა.

იწყებენ ჩვენს აღზრდას

ამ ინციდენტის შემდეგ სულ მალე 17 კაცი გამოგვიძახეს სკოლაში და გვი-თხრეს, რომ გვგზავნიან რათა „გვასწავლონ და აღვზარდონ“. ჩვენს შორის იყო მუსიკალური აკადემიის რამდენიმე პროფესორი და ადმინისტრაციული მუშაკი, მათ შორის, აკადემიის თავმჯდომარის მოადგილე ჯაო ფინი. მას ისე-თი სახე ჰქონდა, თითქოს რამდენიმე დამე არ უძინიაო. ამ ადამიანებიდან ბევ-რი პარტიის წევრი იყო. ჩვენ გავგზავნეს სოციალისტური ინსტიტუტში, სადაც წინათ პარტიული აპარატის მუშაკებს ასწავლიდნენ მარქსისტულ ფილოსოფი-ას. ახლა ეს დაწესებულება გადაქცეული იყო თავისებურ საკონცენტრაციო ბანაკად ინტელიგენციისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეებისათვის.

აქ შეხვდებოდით ყველას — მხატვრებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, რეჟი-სორებს, მწერლებს, კულტურის მუშაკებს. სამხატვრო აკადემიის, კინომა-ტოგრაფიის აკადემიისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებ-სა და პროფესორებს. სულ 500 კაცამდე მოგვიყარეს თავი. ჩემთან ერთად ოთახში ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ცნობილი მევიოლინე.

ერთხელ ჩვენ არაჩვეულებრივი რამ, შევტიყეთ: ჯაო იანი, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტის განყოფილების გამგის ყოვლისშემძლე მოადგილე, დაეცა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ჩვენი უშუალო უფროსი იყო და მრავალი წმენდის დროს თამაშობდა მთავარ როლს. მისგან ვიღებდით განაკარ-



გულელებს კულტურის სხვადასხვა დარგში, მაგალითად, წესებს იმის შესახებ, თუ დასავლეთის რომელი მუსიკალური ნაწარმოების შესრულება შეიძლება ჩინეთში, (თუ არ ჩავთვლით 1962 წლის მოკლე პერიოდს, დებიუტისა და რაველი ნაწარმოებები აკრძალულ იქნა XX საუკუნის კომპოზიტორთა უმრავლესობის ნაწარმოებებთან ერთად); ბეთოვენის, ბრამსის, შუბერტის და სხვა კლასიკოს კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესრულება ნებადართული იყო და ისინი პოპულარობით სარგებლობდნენ 1968 წლამდე, როცა მთელი დასავლური მუსიკა სავსებით იქნა აკრძალული.

ადრე ჯოუ იანს გვისახვდნენ როგორც მათ ძე-დუნის იდეების იდეალურ გამოხატვებს, ახლა კი მინისტრის მოადგილემ, რომელმაც შეცვალა ჯოუ იანის გამოვცემა, რომ თვით ჯოუ იანის იდეები იყო „მეორე, სულელური და ძნელად გასაგებ“. მას შეარქვეს „უწმინდურობა, ნომერი პირველი“.

კულტურის სამინისტრომ გამოვცემა ადამიანები, რომლებსაც ჩვენთვის უნდა გადმოეცათ გამოვცემული ამბები ჯოუ იანსა და მის „ხელქვეითებზე“. ჩვენ გვაცნობენ, თითქოს „რეპეციონერებმა“, ვადაშლეს რა იარაღი (მათ შორის, არტლერიაც) ალყა შემოარტყეს მთელ ჯუნანსა და რიონს, სადაც ცხოვრობდნენ მათ ძე-დუნის და სხვა ხელმძღვანელები. რა თქმა უნდა, ჩვენ ცოტა რამ ვიცოდით იმის თაობაზე, რაც ინსტიტუტის კედლებს გარეთ ხდებოდა, თუმცა დროდარო ნებას გვრთავდნენ კვირა დღე შინ გაგვეტარებინა. მაგრამ ერთხელ დავინახეთ, რომ ჩვენს აუდიტორიაში კედელზე ვიდეოს დიდი ასობით დაეწერა: „ძირს მათ ძე-დუნის“

ერთ საღამოს ინსტიტუტთან საბარგო მანქანები გაჩერდნენ, ეს მანქანები გამოგზავნეს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებიდან და სამხედრო ნაწილებიდან. ერთ-ერთ საბარგო მანქანაზე წარწერილი იყო ოთხი იეროგლიფი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე მანქანა სპეციალურად „შავი ბანდისათვის“ იყო განკუთვნილი. მასში ჩასხრო კინოხელოვნების აკადემიის ყველა წევრი და მუშაკი და სადაც წაიყვანეს. მეორე დღეს, დილის 10 საათზე ჩვენც ჩავყარეს ამ საბარგო მანქანაში და დავაბრუნეს მუსიკალურ აკადემიაში. ეს იყო 9 აგვისტოს. მთავარ ჰიშკართან ადამიანთა უზარმაზარი ბრბო იდგა. ჩვენ გადმოგვყარეს მანქანიდან, და ვერც კი მოვასწარი მიწაზე ფეხის დადგმა, რომ ვიღაცამ თავზე გადმოამხმო ფეხილის წებოთი სავსე ვედრო. სხვებმა ზურგზე მოამაგარეს დაძიბო, თავზე კი ჩამოამაცვეს ქაღალდის ჩაჩი წარწერით: „უწმინდური“, „ისერზე ჩამოკიდეს მუჟას ნაჭერი, რომელზედაც ეწერა: „მა სიცუნი, ბურჟუაზიული ოპოზიციის აგენტი“. მოგვიანებით ამას დაუმატეს ფირცია წარწერით: „გამპირი“. მერე თვითველ ჩვენთაგანს დავაჭერინეს სპილენძის ტაშტი — „სიკვდილის ზარი და ჯოხი“, რომლითაც ეს ტაშტი უნდა გვებრახუნებოდა. ჯოუ ფინსაც, რომელსაც ჩაჩე ეწერა: „შავი ბანდის უფროსი“ ჩაცვეს ცხვრის ზქელი ქურჭი. პაპანაქება დღე იყო ნამდვილი პეკინური აგვისტოს დღე — სიცხე 88 გრადუსს აღემატებოდა.

ეს იყო ველური სცენა. თავდასხმელები შემოიღობივით იქცეოდნენ. ჩვენ შემოგვატარეს აკადემიის მთელი ტერიტორია ბრბოს განუწყვეტელ ღრიალში, მთელი ამ ღრობის განმავლობაში ხელსა გვკრამდნენ და იფურთხებოდნენ, მე ვიცანი ზოგიერთი ჩემი მოსწავლის დამანჭული სახეები. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვაიძულეს თავჩადუნულები ორ რიგად დავმდგარიყავით ერთ-ერთი აუდიტორიის ფიცარნაზე და შეუდგნენ ჩვენს ლანძღვა-გინებას. „შავი ბანდის“ ოს წევრები, რომელთაც უფრო სერიოზული „დანაშაული“ მიუძღოდათ, წინა რიგში დააყენეს, უფრო წვრილფეხა „უწმინდურები“ კი უკანა რიგში მოათავსეს. ამ უკანასკნელთა შორის იყო პიანისტი ლიუ ში-კუნი, ვან კლიბერის მეთაქვე მისკოვის 1958 წლის კონკურსზე. შემდგომში მას ისე გადაუგრიბეს ხელები, რომ ლიუს აღარ შეეძლო დაკვრა.

„ძროხისთავიანი ურჩხული“

ამის შემდეგ ჩვენ წავიყვანეს სასწავლებლის უკან განლაგებულ პატარა, დაბალი შენობებისაკენ, სადაც წინათ პიანისტების საწყობი იყო. შემოვიყვანეს პატარა ოთახში, რომელშიც მხოლოდ საწოლი ეტოვოდა, ერთ-ერთი კედელი კი მინისა იყო, ასე რომ, ვისაც მოესურვებოდა და როცა მოესურვებოდა, შეეძლო მოსვლა და ჩვენი დათვალიერება. ჩვენ განგვიცხადეს, რომ რამდენადაც ჩვენ პირუტყვები ვართ, ჩვენი თავი ხალხს ისე უნდა უჩვენონ, როგორც პირუტყვები; ჩემი ოთახის კედლები აჭრელებული იყო წარწერებით: „ძირს გამპირები“, „თუ თქვენ პატიოსნურად არ მოიქცევით, ჩვენ დაგიხეიქვით მაგ ძაღლის თავებს“. ყოველ საწყობთან გამოკრული ფირნიში კი აფრთხილებდა მკითხველს: „უწმინდურთა ბუდე!“

ყოველ დღე ვდგებოდით ექვს საათზე, ვსწავლობდით მათს რჩეულ ნაწარმოებებსა და გაზეთების სარედაქციო წერილებს, ვსაუზობდით, შემდეგ კი ვმუშაობდით 8 საათიდან შუადღემდე. ვასრულებდით სრულიად უაზრო სამუშაოებს — ერთ ხროვად ვაგროვებდით აქეთ-იქით გაფანტულ ქვებს, ან ერთი შენობიდან მეორე შენობაში გადაგვქონდა ნივთები. დღის მეორე ნახევარსა და მთელი საღამოს განმავლობაში კი ხმამაღლა უნდა გვეძახნა: „ჩვენ ვართ ჯოუ ფინის ბურჟუაზიული შავი განგებლები“, „ჩვენს წინააღმდეგ უნდა წარმოებდეს ბრძოლა და საჭიროა ჩვენი გარდაქმნა.“

ყოველ დღე და ყოველ საღამოს უნდა გვემღერა. ამ სიმღერას ერქვა „შავი განგებლების ყშილი“. მასში ნათქვამი იყო:

მე ვარ ძროხისთავიანი ურჩხული,
მე ვცოდავდი, მე ვცოდავდი,
მე უნდა დავემორჩილო სასალხო დიქტატურას.
რადგან მე ხალხის მტერი ვარ.

მე უნდა ვიყო მეტად გულახდილი,
და თუ ეს ასე არ მოხდა,
დამპყრობით ნაჭერ-ნაჭერ!

ხუნველინები გვიბრძანებდნენ ხოლმე: „დალუნე თავი! შემდეგ კვირისუღლებდნენ ოთხზე დამდგარებს დაგვეწყო ხოხვა. მათ რამდენჯერმე ამიფორიქეს ოთახი, მიყარ-მოყარეს წიგნები, გადაანგრიეს ჩემი ლოგინი, თან ზერებს ხედავდნენ.“

სანდახან „წითელი დამცველები“ გვიბრძანებდნენ დავმდგარიყავით სახით კედლისაკენ და ვმდგარიყავით ასე, სანამ მობრუნების უფლებას არ მოგვცემდნენ, მერე კი ვავიწყდებოდით. ზოგჯერ კი გვაიძულებდნენ ვმდგარიყავით მზისგულზე თავდახრილები. ერთ დამეს, როცა ჩემს ოთახში შეძინა, კარებს ბრახუნის აუქუნეს და ოთახში შემოიჭრა ორი ხუნველინი — ჭაბუკი და ქალიშვილი. „ადექი!“ — მიბრძანეს მათ. მე წამოვხტი. ბიჭმა ცემა დამიწყო ღვედით, ქალიშვილი კი სახეში მაფურთხებდა. მე, ასე თუ ისე, იოლად გადავჩრი, მაგრამ ჯოუ ფინს ისე სცემეს, რომ იგი ვახსიხლიანებული დავცა მიწაზე.

ეს ყველაფერი ხდებოდა აგვისტოს მეორე თუ მესამე კვირას, როცა „წითელი დამცველების“ გააფთრებამ პეკინში თავის ზენიტს მიაღწია. ქალაქის სხვა ბუნქტებში ბევრად უფრო საშინელი ინციდენტები ხდებოდა. ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მოსწავლეებმა ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ყველა მასწავლებელი.

ასეთი არგაგონილი ძალადობით გამოწვეულმა შიშმა აიძულა ჩემი ოჯახი გაქცულიყო პეკინიდან.

ხუნველინები თარაშობენ

დაფლეთილ, მათხოვრულ ტანსაცმელში გადაცმული ჩემი ცოლი და ბავშვები ავტობუსით ჩავიდნენ ცენტრალური ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც ჩვენი მეგობრები ცხოვრობდნენ.

სექტემბრის ბოლოს პეკინში ჩემს სანახავად ჩამოვიდნენ ჩემი ცოლი და ქალიშვილი. მაგრამ მე ვერ შევძელი სასწავლებლიდან გამოსვლა და მათთან შეხვედრა. ისინი ჩამოვიდნენ ხუნველინების გაქვლილი მატარებლით. გზაში მათ დაჰკითხავდნენ როგორც საეჭვო პირებს, მაგრამ სელიამ დაიწყო მათებური უხეში ლაპარაკი და მსხალი გაუფცქვენილად შეჭამა. ამან დააჭრა ხუნველინები, რომ ჩემი ცოლი და ქალიშვილი — ლატაკი გლეხის ქალები არიან. ცოლმა და ქალიშვილმა დააპირეს ჩვენს მეგობრებთან გაჩერება, მაგრამ ვერაფერ ვერ გახედა მათი მიკედლება. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში იმალებოდნენ სადგურთან თავმოყრილ ბრბოში, სანამ მატარებელში ჩაჯდომა არ მოახერხეს.

ამ პირველი ცდიდან ორი კვირის შემდეგ სელია ისევ ჩამოვიდა პეკინში. ამჯერად მარტოდ. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს ერთ-ერთი მეგობრის სახლში, ცენტრიდან კარგა დაშორებით, ქალაქის სამხრეთ გარეუბანში. ჩვენ ჩუმად ვსაუბრობდით უკოში მოთავსებულ პატარა, ბნელ საპირფარეოში, ჩვენი მეგობარი კი შემოსასვლელთან გვყარაულობდა.

ბ ა ძ ც ე ვ ა


ქალაქში, სადაც ჩემი ცოლ-შვილი ცხოვრობდა, ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ჩინეთიდან გაქცევის სხვადასხვა ხერხზე. ზოგი ფეხით მიდიოდა, ზოგი ნავებით მიცურავდნენ. ჩემმა ქალიშვილმა არ იცოდა, როგორ მოხერხებოდა ჩვენი გაქცევა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ამას შევძლებდით.

მაგრამ მე ჯერ კიდევ არ ვიყავი მომზადებული ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად. მე არ შემიძლო ასე უბრალოდ ავმდგარიყავი და გავყოლოდი ჩემს ოჯახს: „წითელი დამცველების“ აქტიურობა გაძლიერდა იმ რაიონში, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობდა, და იქ მე, რა თქმა უნდა, უმალვე ჩამტაცებდნენ ხელს. მეორე მხრივ, თუ გაქცევის ვერ მოვახერხებდით, ბოლოს მოგვიღებდნენ. მთელი დამე საშინლად ვეღლაფი და დამინება ვერ შევძელი. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ფიქრები ერთ ნაცნობს ვაფუზიარე. „სჯობია წავვიდეთ“, — მითხრა მან. მე დავთანხმდი.

სელია თითქმის მთელი დამე იდგა რიგში, მაგრამ მატარებლის ბილეთები მაინც ვერ იშოვნა. მე გამოვცხადე სასწავლებელში დილის სამუშაოზე, მერე კი ვთქვი, რომ ავად ვახსდი და პოლიკლინიკაში უნდა წავიდე. სელიასთან ერთად მოვკრიბე ნივთების ნაწილი, მათ შორის, ჩემი ვოლინოც და შეცკარით ორ ნაჭრად. იძულებული ვიყავით დავეტოვებინა ჩემი ახალი ნაწარმოებები. მუქ-ლურჯ ტანსაცმელში ისე გამოვიყურებოდი, როგორც ჩვეულებრივი მუშა. დამატებითი შენიღბვისათვის პირზე ავიკარი დოლბანდის შემოსაკრავი, როგორსაც ქირურგები ატარებენ ხოლმე. ჩინეთში ბევრნი ატარებენ ასეთ შემოსაკრავს, რომ არ გაცივდნენ ან არ გადაეფოთნათ სხვა ავადმყოფობანი, მაგალითად, ენცეფალიტი; სამშაბათს, ცვ დამეს ჩავსხედით მატარებელში და სამუდამოდ დავტოვეთ პეკინი. მრავალი თვის განმავლობაში პირველად ამოვისუნთქე თავისუფლად.


მე უფლებდა არა მაქვს გაცნობოთ აქ ადგილმდებარეობისა და ადამიანების სახელები, ადამიანებისა, რომლებიც მოგვეხმარნენ ჩინეთიდან გაქცევაში. მე რომ ეს ვაკეთო, მრავალი ადამიანის სიცოცხლე ჩავარდება საფრთხეში...

დასველებულნი, აჯანკალებულნი ვიდექით უცხო ნაპირზე. მკერდიდან ჩამოვგლიჯეთ ლითონის პატარა ნიშნები, რომლებზედაც ამოტვიფრული იყო მათ ძე-დუნის ლოზუნგები და რომლებსაც დღეს ყველა ატარებს ჩინეთში: ჩვენ ისინი ზღვაში გადავყარეთ.



შ. შეკლაშვილი.
სვანეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რ. თორდია.
დედის პორტრეტი.

ჩვენი ასალგაზრდა მხატვრები

გ. თოძე.
დაბრუნება ნადირობიდან.





ი. მექვაბიშვილი. ქალიშვილის პორტრეტი.

ქართველ მხატვართა რიგებს ყოველწლიურად ემატება ახალგაზრდა ძალები; ამ ახალგაზრდათა შემოქმედება მრავალსახოვანია და მრავალფეროვანი. ძირითადად ისინი ემყარებიან ქართული ხელოვნების დიდ ტრადიციებს. ახალგაზრდა შემოქმედნი ცდილობენ გაამდიდრონ და ახალ საფეხსურსე აიყვანონ ეს ტრადიციები.

ამ შესანიშნავ ახალგაზრდობას ზრდის საქართველოს სამხატვრო აკადემია; აკადემიას კი თავის მხრივ ავსებენ ნიჭიერი მოსწავლეები, რომლებსაც უკვე გაუვლიათ ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სკოლა, მ. თოძის სახ. სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი, ქუთაისის გ. მაისურაძის სახელოსნო, გორის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის სამხატვრო სკოლები. ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები ყველაფერს აკეთებენ, რათა ისინი სრულყოფილად დაეუფლონ შემოქმედების ყველა საიდუმლოებს.

ჩვენ ორიოდ სიტყვას ვიტყვით აქ გამოქვეყნებულ ცალკეულ ნამუშევრებზე.

გ. თოძის „დაბრუნება ნადირობიდან“ თითქოსდა ერთგვარი ჰიმნია სვანეთის ყოფიხადმი. საყოფაცხოვრებო მოტივები მხატვარს აქ მაღალი ხალხური ეპოსის პათოსით განუმსჭვალავს.

საყურადღებოა რ. თორდიას „ღედის პორტრეტი“. ამ თემას ქართულ მხატვრობაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამის მიუხედავად, თორდიას სურათი ახალია როგორც თემის გააზრებით, ისე კომპოზიციურად.

ასევე საინტერესოა შ. შეყილაძის „სვანეთი“; ახალგაზრდა მხატვრები წარმატებით მუშაობენ წიგნის გრაფიკის დარგშიც — აქ აღსანიშნავია ლ. შენგელიას ილუსტრაციები „რიჩარდ მესამისათვის“.

ჩვენი ახალგაზრდები თავიანთ ოსტატობას სცდიან სახვითი ხელოვნების ყველა უანრში. დაწვრილებით ყოველი მათგანის დახასიათება აქ შეუძლებელია, ვიტყვით მხოლოდ ერთს: ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა დაუღალავად იბრძვის ქართული ხელოვნების საგანძურის გასამდიდრებლად.

შალვა კვანცვანი

ხელოვნების დამს. მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.



ე. ამბოკაძე. ძველი სახლები.



ბ. ალექსი-მესხიშვილი. წითელი თევზი.



ა. კაკაბაძე. ნატურმორტი.



თ. ასიტაშვილი. ლეკების სოფელი.


შ. შეყლაშვილი. არყის გამობდა.





ქართული
ბიბლიოთეკა

ლ. შენგელია.
„რიჩარდ III“ ილუსტრაცია.



ჩვენ
ესაღბურღა
ესატურები



რ. სანაძე. თუშის ქალები.



თ. დევდარიანი.
კახეთი.



კირცხი კოლხურად სეტყვასა ნიშნავს...

რა განშორება! რა დაფიქვება!
ანათებ, როგორც ბედის ვარსკვლავი,
ასე მგონია, ახლაც ირწყვია
აქ, შენს კალთაში, ჩემი აკვანი.

რა გამაჩნია მადლობის მეტი,
უფრო ძვირფასი და ღირსეული
შენ გაბარია სავანე დედის
და ნასახლარი მამისეული.

და განა შარტო ნასახლარია,
და განა შარტო მწვანე დონერია!
ძველი მუხებზე მაგრად არიან,
აქ რომ დატოვა ჩემმა მშობლებმა;


ძველი მუხები — ბრძოლის კაცები,
რომანოვების ტახტს რომ არუცვდნენ...
როდესაც ოდნავ შეგებარბაცდები,
მათი ძახილი წამომავუენებს.

მათი ძახილი ომბიანი,
მათი სიკეთის მთოველი შურია...
ირგვლივ რამდენიც ოჯახი არი,
მაქვს იმდენივე მშობელი კერა!

ამიხელია ამ ციხევეშ თვალი
და მალე თურმე ზუგდიდში წავიქ...
(შემიფარებდა ვიღვრემდის ვალი,
მე ქარიბატი ქარებზე მწვავდნენ).

მერე სოხუმი და ზღვისპირეთი,
მერე მტკვარი და თბილისის მთვარე...
ჩემი სიცოცხლის მძლავრი იმედი —
ჩემი მამულის ორივე მხარე...

თუმცა სეტყვამაც მიწია ზღაში,
არ დამკლბებია წვიმაც და ქარიც, —
მე შენთვის მუდამ ვიქნები ბავშვი,
მოვდივარ შენთან, გამიღე კარი!



მე მაპატიონ შენმა შეიღებმა.
თუ გავაღვიძებ ჭრილობა ძველი...
იმ დღის, მწარე დღის შთაბეჭდილება
არა მშორდება ამდენი წელი!

ამდენი წელი თვალთა წინ დგახარ, —
შენთან საუბარს ვლამობ ნიადაგ.
მამის აჩრდილი მომძახის ახლაც:
დაგაგვიანდა! დაგაგვიანდა!

ლენინის ძახილს უსმენდით ერთად,
ბრძოლაც იცოდით, გარჯაც იცოდით,
თქვენც გაზაფხული მოგყავდათ ქვეყნად
უხმაუროდ და თამამ სიცოცხლით.

მოულოდნელად... მაინც რა იყო, —
დიდიდან ვგრძნობდი საშინ სიწყნარეს, —
დიდი ჭიშკარი მძიმედ გაიღო
და სიხსლიანი შემოგოყვანეს.

თურმე გიმუხდლა ცხენმა ტიალმა,
რომელიც აღრე მძახავით მიქე.
ჩემს თვალწინ თითქოს ცა შეტრიალდა
და იმ წუთიდან ლიგენდალ იქეც.

მე არ მენახა ცრემლები მამის,
ჩემდა საოცრად ვიხილე მაშინ,
რარიგ დაეცა ლოყებზე ნამი
და შეებარა სინესტე ხმაში!

თვლებში ჩამრჩა ბავშვობის ელდა
და თუმცა წლები ასე მიჰქრია,
დღესაც იმავე თვალბით გზედავ,
დაუვიწყარო მათე ჭიქია!

ვიოთუა ლონისის დღეობა საქართველოში



შენ გაგიმარჯოს, ვით ცოცხალს, გოგლა,
ხარობდეს შენი ბავშვობის კერა!
სიკვდილმა სცადა და ვერ კი მოგკლა,
მხოლოდ შესწყვიტე ლექსების წერა.


თავზე დაგეცა მწუხრი უეცრად,
როდესაც ჭავარს აძლევდი სტრიქონს.
ასე მგონია მხოლოდ უმეცარს,
რომ შეგაშინა სიკვდილმა თითქოს.

შენ სულ სხვა იყავ. შენი გყოფნიდა
ძალგულოვნება, ცეცხლი, სტიქია
და ისე წახველ წუთისოფლიდან
რომ აღსასრულზე არ გიფიქრია.

ან საფიქრალი გქონდა რაილა,
ან რად იტიროს პატარძელუღმა,
შენი სიცოცხლე ლექსმა წაიღო
და ნათლისებეტად გადაქეუღლა...

ივრის ნაპირას ბუხუნებ, ბორგავ,
თუმცა შესწყვიტე ლექსების წერა.
შენ გაგიმარჯოს, ვით ცოცხალს, გოგლა,
ხარობდეს შენი მშობელი კერა!

საკმაწმენელი




თუმცა პოეტსაც ერთი გული აქვს,
დაუოფილია იგი ფიქრებად...
დროი ხადა მაქვს, თორემ გურია
ახლა იქნება, რაცა იქნება!

დროი ხადა მაქვს, თორემ ნატანებს
თავს დავესხმოდი, როგორც ფირალი,
გადავკოცნიდი დიდებს, პატარებს
მე გაზაფხულის ხმაზე მყვირალი.

დროი ხადა მაქვს, თორემ კვირიკეთს
დავაუენებდი ფეხზე ამაღამ,
ნაცნობ ენოსთან, — მე ვარ, მიმიღებთ? —
დავიძახებდი ისე ხმაშაღამა,

რომ სამეზობლოს გააოცებდა
გამოძახილი ანაშდული.
შორიახლოდან დასტურს მომცემდნენ
შემოქმედი და ანახული.

პოეტსაც თუმცა ერთი გული აქვს,
დაუოფილია იგი ფიქრებად.
დროი ხადა არი, თორემ გურია
ახლა იქნება, რაცა იქნება!



როცა ძალიან მოგენატრები
და აუვირდება გული ნატკენი,
წარმოიდგინე, რომ ქვეყნად არ ვარ,
რომ უკვე გავხდი სიკვდილის წერა,
მუხლი წამართვა გრიგალმა მძლავრმა
და ხეცსურეთში უსულოდ ვწევარ.
წარმოიდგინე, რომ არც კი ვიყავ
და მხოლოდ სიზმრად ნანახი გყავდი,
რომ ვიყავ ფიქრი, ფოთოლი, სიტყვა
ან კიდევ შენი ამაყი ღარდი.
და მერე აღარ მოგენატრები,
მოგიშუშდება გული ნატკენი.

პოეტიკის მართალი სიტყვა

ვაჟა ერთხელ შენიშნა: მწერალს, პირველ რიგში, სული და გული უნდა ჰქონდესო. მართლაც, ქვეყნის პოეტს მაღალი ადამიანურობა უნდა ახასიათებდეს უპირველესად. ხალხს პოეტური ნიჭით ერთად ადამიანობის მაღალი წესობრივი ღირსებები ამშვენებენ გიორგი კაჭახიძეს, რომელიც ორმოც წელზე მეტია თავდადებით იღვწის ქართული მწერლობის ასპარეზზე.

პოეზია, თუ ის ნამდვილია, მუდამ ყოფილია, არის და იქნება ადამიანობის დიდი მქადაგებელი იმ უნატიფესი საშუალებებით, რომლებიც კი მას გააჩნია თავის არსენალში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხატვრული სიტყვის ძალა მის სიმართლესაა. ცნობილია ისიც, რომ ეს ძალა მართლაც მშვენიერებისადაც სიყვარულით კი არ არის განპირობებული, არამედ სიკეთის იმ ფაქტორითაც, რომელსაც ასეთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ადამიანთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

აქ სათქმელია ისიც, რომ სიკეთე და სიყვარული მხოლოდ გრძნობა არ არის ადამიანისა. იგი მისი კაცური ნიჭიცაა ერთდროულად, ხოლო ილიას თქმისა არ იყოს „ვისაც ამ ნიჭისათვის გული დახშული აქვს, ის კაცი კი არ არის, არამედ ნახევარი კაცია ნამდვილად“.

ბუნებას „ნახევარკაცობის“ ამ ბედისათვის აუცილებელია გიორგი კაჭახიძე, ქართული მხატვრული სიტყვის ეს ლაღი შემოქმედი, რომლის გულითადაც ლექსები დიდი უშუალოდობითა და გულწრფელობით გამოირჩევიან ქართული საბჭოთა პოეზიის მდიდარ გალერეაში. როგორც მწერალი გვიამბობს თავის ავტობიოგრაფიაში, მისი ცხოვრება არასოდეს „არ ყოფილა სხვანაირად სათვალავად რეჟიმის ამბებითა და ფაქტორებით“, არც „ქვეყნიდან ქვეყნებში უხეტიალნი ბედნიერების საძებნელად“, მაგრამ ამის გამო ერთხელაც არ შეუჩივლია ბედისათვის, რადგან პოეტს ყველაფრის ამწაფელად მიაჩნდა ის ღვთაებრივი გრძნობა, რომელსაც სამშობლოსადმი სიყვარული ეწოდება. აქ იგი თვით ამბობს, რომ „დედა სამშობლო მყოფნის საფრენად და სიხარულად მისი ნათელი“.

როგორც ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის, ჩვენი მწერლისათვისაც სამშობლოა სიყვარულის პირველი საგანი და პირველი სიყვარულის დაუფიქრარი განცდის მშობელიც. და სამშობლოსთან ასე შერწყმულს შეეძლო მას ეთქვა სულის ხილრმიდან უზბოლო სიტყვები იმის შესახებ, რომ

მიანიც ამ ქვეყნად, სამშობლოს გარდა
ჯერ არ მინახავს სხვა საოცრება.

დიდი წესობრივი ენერჯია იგრძნობა ამ სტრიქონებში, ენერჯია ისეთი ადამიანისა, რომელიც მუდამ მზად არის გაიმეოროს დიდებული გრიგოლ ორბელიანის სიტყვები, რომ ადამიანს დროებით ყველგან შეუძლია სტუმრობა, მაგრამ საბოლოოდ სამშობლოში უნდა იცხოვროსო.

პოეტს სწამს, რომ სამშობლოა ადამიანის აღმზარდელი „კაცად“ და სწორედ ამ დიდი ამაგის საპასუხოდ ცდილობს იგი, რომ დაუღწეოდ უგალობოს „ქედუბრედ სამშობლოს“, ოდესღაც განაწამებს, მაგრამ ახლა აუვებულ თბილისს, დედაქართულს, უკვდავ გოგებაშვილს და უკვდავსვე მის „დედაენას“. და პოეტის, ნამდვილი ლირიზმით გამოთბარ ლექსში „დედაენა“, დიდი უშუალოდობით ავფიქრის სიხარულის იმ გრძნობას, რომელიც ბავშვს ეუფლებოდა ამ სანაზნაო წიგნის პირველად ზღაპრულ ადებისას:

ენეტარებდი, როგორც ვარდი ვარდს ჩაქრული,
როცა ნამით პირდაბანოს სიო არწევს,
და ვლოცავდი მადლიერი ბავშვის გულით
გოგებაშვილს — იმ პატარა წიგნის დამწერს;

ამბობს გ. კაჭახიძე და ჩვენი ნამდვილად გვჭერა ამ სიტყვების სიმართლისა და გულწრფელობის.

გ. კაჭახიძე, როგორც პატრიოტი, ქართულ მიწასთან დაკავშირებული შვილია ქვეყნისა. იგი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ თავისი გაჩენის დღიდან ტრიალებდა მშობლიურ მიწა-წყალზე და ეს ანიჭებდა მას დიდ ბედნიერებას. სოფელში დაბადებულ პოეტს სოფელი და მიწა მიაჩნდა ქვეყნის ბურჯად, იმ ძალად, რომელსაც სულიერად უნდა განებანა ადამიანი, ესწავლებინა მისთვის „სიმართლისა, შრომისა და პატიოსნების ანბანი“.

პოეტს, რომელმაც ყმაწვილობიდანვე შრომის იარაღად თოხი და სახრე აირჩია, ბუნების მგზნებარე მესობებელ იქცა თავიდანვე, მაგრამ მისი ლექსები არასოდეს არ ყოფილა ბუნებისადმი უბრალო მიბაძვა, სინამდვილის იმიტირება, არამედ ავით სიცოცხლის ესთეტიკური განცდის ფაქტს წარმოადგენდა მუდამ. და ამგვარი განცდის სურათს იძლევა პოეტი, როცა ამბობს:

ვიგრძენ ყველზე ფუტკრის ფუსფუსი,
ია მოხრილი ნამის სიმძიმით,
ჩვილი ატემების მწვანე ბუსუსი,
ზედ გაზაფხულის თვალის ციმციმი.

სოფლის ცხოვრებისა და ბუნების მესობებელ პოეტს სჭერა, რომ მათი მადლი „ქვეყნება მას ლექსისათვის სულის ჩადგმაში მაშინაც, როცა რკინის შესახებ იწერება იგი“. ამიტომ ამბობს იგი:

მახარებს ყველა ნაშუსიან ვაჟკაცთან შრომა,
იღბალზე წუწუნს ვინც ფოლადის დნობა არჩიაო.

თავისი კუთხისა და ქვეყნის იმ სიყვარულში, რომელმაც „გზა გაუბღანარა“ გ. კაჭახიძეს, დაანახვა და გააგებინა მას, თუ რა „სასწაულთა ზღვა ყოფილა დედა-ბუნება“. ამან კი სათქმელი მისცა მგოსანს და ამრიგად აიღვა ფეხი გ. კაჭახიძის იმ პოეზიაში, რომლის პირველსადაც უწოდა მან „ის უბანი და ის კარმიდამო“. პოეტმა ამ ერთ-ერთ პირველ, და ყველაზე ვრცელ ლექსში გაგაცნო თავისი პოეზიის არსება, მისი „ფილოსოფია“, და პრაქტიკული ამოცანა. და ამ ლექსში, რომელიც ასე სხვადასხვა პოეტის მონათხრობით „ცხოვრების კარგსა და აზრს“, გ. კაჭახიძე იმას დაუფიქრებია, რომ „ვაო, თუ ბავშვობის საბუდარი ეზო-მიდამო უმისობას შეეჩვიოს“. მაგრამ პოეტმა იცის, რომ ეს შიში უნიადაგოა, რადგან როგორც თვით ამბობს:

მიწა მეძახის — ჩვენი დედა, ჩვენი სოფელი,
გაღვიებული ბღ-ვენახი, ზეცა კრიალა,
მე გაზაფხულის სუნი მეცა დამატკობელი
და ღვინოსავით გამაბრუა, დამატრიალა...

ამ მიწის გულში უდგას ფესვები პოეტის მხატვრულ სიტყვას, ჩვენებურ ქართულ სიტყვას, რომელიც შემოქმედს ათქმევინებს დაუფიქრად. რომ

მკვდარსაც სიცოცხლე თუ მიწერია,
ჩემის ქართულის ეშით ვიცოცხლებ.

გ. კაჭახიძის შემოქმედება ოპტიმისტურია სიტყვის ღრმა მნიშვნელობით და ის არც შეიძლება იყოს სხვაგვარი, რადგან თვით პოეტი ექუთვნის ადამიანთა იმ რიცხვს, რომლებიც ყოველდღიურ შრომაში პოულობენ ამქმევინებელ ბედნიერებას.

სწორედ ამას გაუღვივებია პოეტში სურვილი, რომ სიცოცხლის აღსასრულამდე დარჩენილიყო „თავისებურ გუთნის დედად“ და საკუთარი „პატარა სახნისით“ გაეწია საშახსური ქვეყნისათვის. ამ აზრით გატაცებული ამბობს იგი, რომ

მსურს მოსახველი მოვხნა, ვიჩქარო,
სანამ მომისწრებს საღმე სიბერე,
ღროზე ვავულო ყველა ჭიშკარი
ხალხში მიმავალ მართალ სიმღერებს.

ასეთია მწერლის გულწრფელი სურვილი და იგი მთელი გატაცებით ემსახურება ამ მადლ მიზანს,

ვლადიმერ ზამბახიძე

სიგაზნაუსი სველი

პერიელექტროტონის ფიზიოლოგიური მოვლენა ცოცხალ ნერვებში ელექტრული დენის გატარებისას, ოციანი წლების დასაწყისში აღმოაჩინა გამოჩენილი მეცნიერმა ნ. ე. ვედენსკიმ. მაგრამ ამ მოვლენის ფიზიკური საფუძველი მანაც გამოუცნობი რჩებოდა. ეს პრობლემა გადაჭრა საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა დიმიტრი გედევანიშვილმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ნერვებში ელექტრული დენი იცვლის თავის მიმართულებას. ინჟინერ გრიგოლ ეიდელმანთან ერთად, მან შექმნა ელექტროტონური და პერიელექტროტონური დენების ნერვულ გამტარებში განაწილების ფიზიკური მოდელი. ეს მოდელი ნათლად წარმოგვიდგინა პერიელექტროტონის წარმოშობის მექანიზმს და გვიჩვენებს, რომ ცოცხალ ნერვში ელექტროტონური დენები ნამდვილად უნდა იცვლიდნენ მიმართულებას.

ავტორები ფიქრობენ ეს მოდელი გამოიყენონ კიბერნეტიკული ავტომატების შექმნისას, რომელიც ელექტრული მართვა ორი ხერხით განხორციელდება, როგორც ცოცხალ ორგანიზმებში ხდება ხოლმე — დისკრეტული (წყველი დენები) და ინდიკრეტული (მუდმივი დენი) სიგნალიზაციით. ეს კიბერნეტიკული ავტომატები ცოცხალი ორგანიზმის მოქმედების პრინციპებს ეყრდნობიან.

მეცნიერ-მუშაკთა — ფიზიოლოგთა და ინჟინერთა ჯგუფი, პროფესორ დ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში უკვე შეუდგა მუშაობას ამგვარი ავტომატის შესაქმნელად. ავტომატმა უნდა უზრუნველყოს ქირურგიული ოპერაციების დროს ადამიანის ორგანიზმის საუკეთესო მდგომარეობა, შესცვალოს ნარკოზით გამოთიშული ტვინის ზოგიერთი ნაწილის მმართველი ფუნქციები.

ამ წარმატებების გამო პროფესორ დ. გედევანიშვილმა მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიწვევათა გამოგენის უმაღლესი ჯილდო — საპატიო დიპლომი და თანამშრომლებთან ერთად ოქროს მედალი და სამი ვერცხლის მედალი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი კი დააჯილდოვეს გამოგენის ორი დიპლომით.

აქ, ცხადია, შეუძლებელია ყველა ამ აპარატის აგებულებისა და ფუნქციების აღწერა; მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიტყვით სუნთქვის დოზირების აპარატზე, რომელშიც მექანიკურის ნაცვლად, გამოყენებულია მართვის პრინციპულად ახალი ელექტროტონური სისტემა.

ახალი აპარატი, მეტად მოხერხებულია ექსპლოატაციისათვის. ის ძველ კონსტრუქციაზე ორჯერ უფრო მსუბუქია. სუნთქვის დოზირების აპარატები საშუალებას აძლევენ ექიმებს ზუსტად განსაზღვრონ აუდიტორის მდგომარეობა და დროულად დაუნიშნონ რაციონალური მკურნალობა. ამას გარდა, ეს აპარატები ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ ექიმებს სპორტის, შრომის, კვების ფიზიოლოგიის დარგში.

აქვე უნდა აღვნიშნო პროფ. დ. გედევანიშვილისა და გ. ეიდელმანის „საორიენტაციო რეფლექსის (ყურადღების) კიბერნეტიკული მოდელი“; ავტორები ფიქრობენ გამოიყენონ ეს მოდელიც იმ ავტომატის შექმნისას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზმის საუკეთესო მდგომარეობა ქირურგიული ოპერაციების დროს.

გ. ზანტაძე



77000 ომში არსებობა

ჩვენს გამოჩენილ მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას არა ერთგზის მოვლილი აქვს მთელი საქართველოს მთა და ბარი; მას უმოგზაურნია ქვეითად, ცხენით თუ მანქანით. როცა „ვაზის ყვავილობას“ წერდა, მწერალი მთელი თვეებით იმყოფებოდა კახეთსა და თუშეთში. მრავალი ახლო მეგობარი ჰყავს მას იქაური კოლმეურნეობების მწვერულსა და მევენახეთა შორის; ისინი უამბობდნენ მწერალს თავიანთ ცხოვრებაზე და ყოველი-

ვე ეს გამოხატულებას პოულობდა მისი წიგნების ფურცლებზე.
1984 წელი. ხევსურეთი. სოფელი შატილი. შატილიონებს იმ დღეს საში კაცი ესტუმრათ ბარდან — კონსტანტინე გამსახურდია, პროფ. პაატა გუგუშვილი და დოც. გიორგი გამყრელიძე. ხევსურებთან საუბრის დროს უცებ მცირე წალაპარაკება მოუხდათ შატილელ წიქასა და კონსტანტინე გამსახურდიას. გაბრაზდა წიქა და გაიძრო ფრანგული. იქ

მყოფთ მოთხოვნებს, რათა ფარიკაობა ყველა წრის დაცვით ჩატარებულიყო, და ფერდობზე საყურებლად ჩამოსხდნენ. მებრძოლებმა შემოუარეს ნავარდი ურთიერთს, შეუძახეს. შეუტია წიქამ კონსტანტინეს და უყვილა:

— გამაგრდიო, ჯაბანო კახო!
ძველად ხევსურები ყველა ბარილს კახს ეძახდნენ.

კონსტანტინე ხმლით შეხვდა წიქას და დაიწყო ფარიკაობა; სწორედ ეს ეპიზოდი აღბეჭდა პაატა გუგუშვილმა ფოტოსურათზე, რომლის რეპროდუქციას აქვე ვაჭვეუნებთ.

ფარიკაობის მერე წიქამ და კონსტანტინემ ძმობა შებფიცეს ერთმეორის, „ფიც-ფიცხლი ჭამეს“.

ამ ამბავმა გამოხმაურება ჰპოვა „დიდოსტატის მარჯვენის“ ერთ ეპიზოდში. ამ წიგნის ოცდამეათევესმეტე თავში მოთხრობილია ამბავი გიორგი პირველის შეტაკებისა ფხოველ გოდერძი ქალუნდაურთან; აი ეს სტრიქონები:

„გირშელმა თავი აიღო, შენიშნა შორიდან: გიორგი და მწითური ფხოველი გაცხარებული ლანდავდნენ ურთიერთს.

ერთბაშად წამოიჭრნენ და გაიძვრეს ხმლები. შემოუარეს ნავარდი ურთიერთს. შეუძახეს. შეუტყეს და შეიბნენ ხმალდახმალ, წამოცვივდნენ ფხოველები და წრე შეტყრეს წაიღებულთა გარშემო.

შეუტია და უყვილა ქალუნდაურმა: გამაგრდიო, ჯაბანო კახო! უკუიქცა გიორგი, ფარი იფარა, კვლავ შეუძახა და შეუტია მდღვრად“.

შატილელი წიქა ასე თავისდაუნებურად დაეხმარა მწერალს უფრო პლასტიკურად გამოეკვეთა ქალუნდაურის პორტრეტი და შეტაკების სცენა. კ. გამსახურდია სწორედ იმ ხანებში მუშაობდა „დიდოსტატის მარჯვენაზე“.

გ. ელანიძე

სოლიონ კოზაკი ქიქიაშუქია

ლუნაჩარსკი თბილისში

1924 წელს ლუნაჩარსკიმ თბილისში, ობერის თეატრში, ლექცია წაიკითხა. ლექციის თემა იყო ხელოვნება და მორალი. ლუნაჩარსკი ლაპარაკობდა ზებირად. ის ბრწყინვალე ორატორი იყო და აუდიტორია სულგანაბული უსმენდა. მოხსენებაში ოჯახის შესახებ ასე თქვა: ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა თავი აიშვა. ერთმანეთს მატყვს არ სცემენ. გავრცელდა ე. წ. „ქიქია წყლის“ თეორია და სიყვარული „გამარჯობა-გაგიმარჯოსავით“ გააადვილეს. ერთი აღმაშფოთებელი მაგალითიც მოიტანა: ოდესაში ერთ სტუდენტს თავისი ამხანაგი ქალიშვილი წაეყვანა თავის ბინაზე, მასთან ღამე გაეთია, დილით ტრამვაის ფული მიეცა, წადიო, და ამით დამთავრებულიყო მათი „სიყვარულიც“ და „ქორწინებაც“.

— ეს არაა ჩვენი მორალი, — აღშფოთებით თქვა ლუნაჩარსკიმ. — ცხოველიც კი პატივს სცემს თავის რჩეულს. მე მინახავს კავკასიის მთებში, თუ როგორ ეფერებოდა ხარირეში ფურს... ამით კი რა ღმერთი გაუწყურათ? — ეს ხომ წმიდაწყლის ბურთუაზიული მორალია!

აუდიტორიამ მხურვალე ტაში დაუკრა ორატორს.
შემდეგ ლუნაჩარსკიმ ილაპარაკა ფუტურისტებზე. განქიქა და განიავა ეს მიმართულება, როგორც ჩვენი დროისათვის მიუღებელი. ერთი საინტერესო ფაქტიც გვიაზბო.

— 1918 წლის დასაწყისში, — თქვა მან, — შემოვიდა ჩემს კაბინეტში ერთი ფუტურისტი მხატვარი. თეთრი მუყაო გამოიწიწოდა და მითხრა: შეიძინეთ ეს სურათი. ჰონორარად 100.000 მანეთი მომთხოვა. დავაკვირდი და

გავოცდი. მუყაოზე არავითარი მხატვრობა არ იყო. მხოლოდ ერთ ადგილას წერტილი იყო დასმული. „ჰო, მაგრამ რაში მოგცეთ ასი ათასი მანეთი, — ვკითხე, — ამ წერტილში?“

ფუტურისტს ასე უპასუხნია: — თქვენ რა იცით მე რამდენი ღამე არ მიძინია სანამ გადაფუყვდები თუ სად დამესვა წერტილი? დარბაზში ხარხარი ატყდა. გაეცინა ლუნაჩარსკისაც.

პროფესორი პალიენკო

ეს ამბავი პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში მოხდა. ხარკოვის უნივერსიტეტში მუავდა ერთი რუსი ამხანაგი: სერგეი პოპოვი. ოჯახური მდგომარეობის გამო ბელგოროდში წავიდა და ჩამოსვლა დააგვიანა. დააგვიანა სწავლის ფულის შეტანაც. ვერ ეშვოვა ოცდახუთი მანეთი და მომწერა: რექტორთან მიმუამდგომდე არ გამომრცხვონ და სწავლის ფულისაგანაც გამანთავისუფლანო.

წაველი პრორექტორთან, პროფესორ პალიენკოსთან. მოვახსენე საქმის შინაარსი.

— ფულის გადახდისაგან განთავისუფლებაზე გვიანია ლაპარაკი, სად იყავით აქამდე? — მიპასუხა პროფესორმა, — რაც შეეხება დახმარებას, ვნახოთ რა გვაქვს სალაროში?!

მივიდა სეიფთან. მიჩხრიაკა-მოჩხრიაკა და ამოალაგა, რაც იყო.

— აი, კოლეგა, სულ ოცდაორი მანეთია, — თქვა პალიენკომ. — დაუმატეთ სამი მანეთი და შეიტანეთ.

— ვაიმე! — წამოვიძახე მე. — სად ვიშოვო სამი მანეთი? და შევჩერდი თვალბში პალიენკოს. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

— რა არის თქვენი პოპოვი? — მკითხა ბოლოს პალიენკომ.

— ამხანაგია, — ვუპასუხე მე.

— თქვენ თვითონ საიდანა ხართ? რა ეროვნების?

— საქართველოდან გახლავართ, ქართველი, — ვუპასუხე.

პალიენკომ ერთ ხანს მიყურა. შემდეგ ამოიღო საფულე, დაუმატა სამი მანეთი და მითხრა:

— აჰა, შეიტანეთ!

მდამლად დავუყარი თავი. პალიენკომ ხელი გამომიწოდა და გაიღმა: — კარგი ხალხი ხართ, ქართველები!



უკვე ათი წელია, რაც თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კედლებში ეღერს პოლონური ენა. ქართველი სტუდენტები, რომლებსაც სტანისლავ რავიჩი ესოდენ დიდი სიყვარულით ასწავლის პოლონურ ენას, ნაყოფიერად მუშაობენ ლიტერატურულ სარბიელზე — თარგმნიან პოლონელი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებს.

ეურნალის ამ ნომერში ვაქვეყნებთ ცნობილი თანამედროვე პოლონელი პოეტის თადეუშ რუჟევიჩის ლექსს „ამბავი, მსგავსი სინამდვილისა“, რომელიც ამოღებულია წიგნიდან „მოსუცენრობა“.

ლაპარაკია იოსებ გრიშაშვილისეულ ბიბლიოთეკაზე.

ეს, მართლაც, განსაცვიფრებელი ბიბლიოთეკაა, უმდიდრესი საგანძური, რომელიც პოეტმა, სიცოცხლეშივე, ანდერძით გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

ყოველდღე, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ხარფუხში, პოეტისეულ ბიბლიოთეკაში თქვენ შეგხვდებით ქართული წიგნის ორი შესანიშნავი მცოდნე, საბიბლიოთეკო სექციის ორი სპეციალისტი ქალი თამარ მაჭავარიანი და თინა ნაკაშიძე.

მათ ძალიან დიდი ამაგი დასდეს ამ ბიბლიოთეკის აღწერას და მეცნიერულ დამუშავებას. მათ უკვე შეადგინეს ხსენებული ბიბლიოთეკის აღწერილობა, რომელმაც ნათელჰყო, თუ რაოდენ დიდი საუნჯე წიგნისა მოუგროვებია პოეტს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ამონაწერს პოეტის ერთი წერილიდან, რომელიც მის თხზულებათა ტომებში არ შესულა. ქართულ ენაზე ეს წერილი არც გამოქვეყნებულა (დაიბეჭდა „კომსომოლსკაია პრავდას“ ფურცლებზე). მასში გრიშაშვილი წერდა:

„ჩემს ბიბლიოთეკაში წიგნების უმეტესი ნაწილი გვიამბობს საქართველოზე. აქ თავმოყრილია თითქმის ყველა ქართული გამოცემა 1709 წლიდან.

ისევ ჩაუვლი წიგნების თაროებს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები რა დიდი გზა გაიარა ჩვენმა წიგნთბეჭდვამ. ჩემს მიერ შეგროვილ ქართულ გამოცემებში, დიდი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდისაა. არც არაფერია აქ გასაჯვარი! 1913 წელს საქართველოში, ქართული წიგნი დაიბეჭდა 965.000 ცალი — 247 სახელწოდებით, 1957 წელს კი — 11.179.000 ცალი წიგნი — 2070 სახელწოდებით. ციფრები დაღაღებენ და როდესაც ამას ვიგონებ, მინდა მოვასწავლო უღრმესი მადლობა პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს, რადგანაც ისინი სათუთად ელოლიავენ ჩემი ხალხის უძველეს კულტურას და ხელს უწყობენ ახლის არნახულ აღმავლობას“.

პოეტის ბიბლიოთეკაში ინახება იშვიათი წიგნები, ყურნალები, აღმანახები, რომლებიც „ქართულ წიგნში“ აღწერილი და მითითებული არ არის. ასეთია, მაგალითად, აღმანახი „შუქი“, რომელიც ქუთაისში გამოუციათ (1910 წ.), „ახალი ტალღა“, გა-

მოუციათ ჭიათურაში (1910 წ.), „მუშათა რვეული“, ჭიათურის გამოცემა (1913 წ.), „ქალღმას ბალაგანი“, ზესტაფონის გამოცემა (1922 წ.). აქვეა სალიტერატურო კრებული „ნიავი“, (1908 წ.), რომელზეც გრიშაშვილის ხელით წარწერილია: „ერთადერთი ეგზემპლარი, ეს წიგნი აკრძალულ იქნა 1908 წელს და სულ არ გამოსულა გასაყიდად. მე შევიძინე ცალ-ცალკე ფურცლებად ასოთამწყობ და კილაძის შემწეობით. ი. გრიშაშვილი“.

ამ აკრძალულ კრებულში შეტანილია ვაჟა-ფშაველას, თ. რაზიკაშვილის, შიო არაგვისპირელის, ივ. გომართელის, კ. მაყაშვილის, დ. თომაშვილის, ი. ეკალაძის, ცახელის, დუტუ მებერელის, ვ. ყიფიანის ნაწარმოებები.

თუ არა აქ, რომელ ბიბლიოთეკაში შეიძლება ნახოს მკითხველმა 1920 წელს სიღნაღში გამოცემული ეურნალი „იმედი“, ანდა 1913 წელს ეენევაში დაბეჭდილი ვაზეთი „თავისუფალი საქართველო“! პოეტისეულ ბიბლიოთეკაში დაცულია არა მარტო ქართული წიგნების იშვიათი კოლექცია, არამედ აქვეა რუსული და სომხური კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის იშვიათი გამოცემები.

გრიშაშვილისეულ ბიბლიოთეკაში დაცულია ყურანის ქართული თარგმანი (1906 წ.), რომელიც პოეტისათვის მიუძღვნია წიგნის მთარგმნელს პეტრე შირიანაშვილს. ყურანის თარგმანთან დაკავშირებით იოსებ გრიშაშვილი გასაუბრებია მთარგმნელს, ეს საუბარი პოეტს თავის უბის წიგნაში ჩაუწერია:

- მე. — თქვენ სთარგმნეთ მთელი ყურანი?
- პ. — მე.
- მე. — ყურანი უნდა თუ ყურანი?
- პ. — ჩემს წიგნში შეცდომია — უნდა ყურანი.
- მე. — რატომ არ აწერია, რომ თქვენი თარგმანია?
- პ. — ყურანი ღვთის სიტყვაა და როგორ შეიძლება მოკვდავმა მოაწეროს ხელი?
- მე. — რა დაქდა ამის დაბეჭდვა?
- პ. — ათას ხუთასი მანეთი ბანკმა გაიღო.
- მე. — რომელი ენიდან სთარგმნეთ?
- პ. — ფრანგულიდან“.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდად დაინტერესებული ყდფილა ყურანის ქართულ ენაზე თარგმნით და ამიტომ მას ბანკიდან ათას ხუთასი მანეთი გაუღია მის გამოსაცემად. ილიას ეს დახმარება იმით იყო გამოწვეული, რომ 1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, საქართველოს დაუბრუნდა ე. წ. სამაჰმადიანო საქართველო (ლაზიკა, აჭარა, ერუშეთი და შავშეთი). სწორედ აი ამ განთავისუფლებულ ადგილებში მოღებები, სამლოცველოებთან გახსნილ მედრესეებში ასწავლიდნენ ლოცვებს და მოსწავლეებს აკითხებდნენ ყურანს არაბულ ენაზე. ეს, რასაკვირველია, გაუგებარი იყო ბავშვებისათვის და ამიტომ მათ მიაწოდეს ყურანის ქართული თარგმანი.

მთელი თვისი სიცოცხლის მანძილზე დაეძებდა გრიშაშვილი იშვიათ წიგნებს, დაეძებდა ოჯახიდან ოჯახში, ქალაქიდან ქალაქში, უცნობებსა და ნაცნობებს; და აი, ახლა ჩვენს ხელთ არის უნიკალური, მეფის რეჟიმის დროს აკრძალული წიგნები, ყურნალები, ვაზეთები და აღმანახები, რომლებიც პოეტმა იმ შავშენულ წლებში განადგურებას გადაარჩინა და თავის ბიბლიოთეკაში მყუდრო თავშესაფარი მიუჩინა.

თაღაუზ რუჟევიჩი

აგვავი, მსგავსი სინამდვილისა

ლექსი კოლემიკური

I


პი აგურის წითელი სახლი,
მოზინადრეთა სამი სართული...
ძირს გადმოეშვა კაცი მადლიდან,
და ქვაფენილზე გლია ამგვარად,
დაფარული აქვს სახე ვაზეთით
და ირგვლივ ხალხი ჭგუფად დამდგარა.
ამბობენ, მოკვდა საყვარლის ხელით...
კაცმა სხვა ქალში უდგოთად გაცვალა,
რამოდენიმე ახალგაზრდა,
პირზე ღმინით,
თმების ზვინებით,
შეჩგუფულ ზაღბის ცდილობს გართობას:
„მფრინავს ბზაძვდა, ცაში ფარფატის,
განავარდების ჰკლავდაო უინ“.
დგას ხალხი ჭგუფად უსულა გვამთან,
წივს კაცი ყვითელ ფეხსაცმელებით,
ფეხებთან გლია ქული გასვრილი,
ამბობენ: „ბედშავს შვილები ჰყვდა,
ქალს, დამანგრეველს ბედნიერების,
ჩემივე ხელით აქვე მოკვდავი“.
აი, ამ სახლის ორი ფანჯარა.
ერთი ფანჯრით ამოჭედლილი,
კატა-ძაღლივით ებრძოდნენ ერთურთს,
დღეს მის თვალებში ღამე ჩამდგარა
და ქვაფენილზე კაცი კი არ წევს,
— ღეში, რომელიც უნდა გაიხრწნას.
მითხარ პოეტო, რითი უშველი,
მას ვინც მოღუშულ სახლის ფანჯრიდან
ძირს გადმოეშვა, მკვდრეთით რომ ადღგეს!
დღე იყო მშვიდი, წყნარი ივნისი,
ცხრაას ორმოცდა ოთრმეტი წელი,
ჩვეულებრივი თბილი შუადღე.

II

ჩვენ, ვინც ვლაქაქებთ ლექსის ჯდაბნაზე,
ტრადიციებზე და პლაგიატზე,
ჩვენ, ვინც ვწერთ მწყაზარ გართომულ ლექსებს,
ან გაურითმავს და ან თეთრ ლექსებს,
ჩვენ, ვინც ვპიკტიკებთ როგორც ჩიტები
ჩვენ, ვინც ვიმედრით დაშაქრულ ლექსებს,
მივაპყროთ მწერა მკვდარს.
რად არ მივეციტ გრძნობა ახალი,
რად არ მივეციტ თვალთ ახალი,
რად არ მივეციტ სახე ახალი,
ფიქრი ახალი, აზრი ახალი,
რად არ მივეციტ მას?
თუ არ გვისმენდა, არად აგდებდა,
ჩვენს დარიგებას და შთავონებას,
უნდა გვეზმარა ძალა დროულად.

ახლა კი მოკვდა, იმ შხამისაგან.
რითაც ადგასო ძველმა ქვეყანამ
მისი სული და მისი სხეული.
უნდა ვუფრთხილდეთ ადამიანებს
და მათ სულიერ სიცარიელის,
უიმედობის, უსახობის,
მარწუხში მარტო ნუ მივატოვებთ!
ჩვენ პასუხს ვაგებთ მათ სიცოცხლეზე,
ნუ მივატოვებთ, მარტოდმარტოებს.
თუ ეს მთავარი დაგვაფიწყდება
დაე, ნურავინ გაგვირისხლება:
ჩვენი ლექსები და პოეზია
ზიზღის მომგვრელი ბოღვა იქნება!

პოლონურიდან თარგმნა ჯეიმალ ველიძემ



განუცხადებულ საბჭოთაო



ეძებდა, ეძებდა უფრო სრულსა და უფრო დამახასიათებელ ნიშნებს გვირგვინის შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად. იგი მხოლოდ შემოქმედებითი შთაგონებით როდი იქცეოდა უსურადად, გარდასახვის დიდი ოსტატიც იყო და სრულყოფილად ფლობდა აქტიორულ ტექნიკას; მისი შემოქმედების ემოციური ძალის შინაგანი კულტურა, ფაქიზი, დახვეწილი გემოვნება და ინტუიციისა და ინტელიქტის ბედნიერი შერწყმა ჰქმნიდა.

აკაკი კვანტალიანი, უპირატესად, კომიკოსი მხახიობი იყო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ უნარს ქართულ სასცენო ხელოვნებაში დიდი ტრადიციები აქვს, კვანტალიანი მანც დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და არავის იმეორებდა, არავის ჰგავდა. როგორც ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს, მასაც გამოსახვის საშუალებებიც და ფერების გრძნობაც საკუთარი ჰქონდა, ტრადიციებს ღირსეულად ამდიდრებდა. განუმეორებელია აკაკი კვანტალიანის მიერ სცენაზე და კინოში შექმნილი კომედიური და სახასიათო სახეები. ამ როლებში იგი მყოფრებელს იშვიათი ადამიანური უშუალობითა და სისასხისთ ზიზზავდა. მის სცენურ ხასიათებს შთამბეჭდავს ხდიდა მოქალაქეობრივი პათოსი, ეპოქის გრძნობა, განცდის ზომიერება და კომიკური და სერიოზულის ორგანული ერთიანობა. მსახიობის მახვილ ხატირას შინაგანად ავსებდა, აკეთილშობილებდა და სითბოს ანიჭებდა მისი შემოქმედებითი ზუნებისაგან განუყოფელი კეთილი იუმორი.

აკაკი კვანტალიანი სცენაზე ადამიანისა და ადამიანურის სიყვარულს ქადაგებდა, მყოფრებელს ად-

ამიანისადმი რწმენას შთაგონებდა. ამ სიკეთეს გულწაფლად აფრქვევდა, თუ ამას საშუალებას გვირის ხასიათი აძლევდა, ან ნათლად შეიგრძნობდით მას გვირის თვალბის სიღრმედან, მისი ტურების ნაოქებში მიმალული ნაწი ღიმილიდან.

აკაკი კვანტალიანი ხიცილით ჯადოქარი იყო. სიცილით ეტრფოდა სიცოცხლეს, სიცილით ებრძოდა ბოროტებს, სიცილით ამკვიდრებდა სიკეთეს, სიცილით აკეთილშობილებდა და შემართების ენერჯიას მატებდა ადამიანის სულს.

ეს ნიჭიერი შემოქმედი იშვიათი პიროვნებაც იყო. ვინც პირადად იცნობდა, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მისი სულიერი სილამაზით. სცენაზე მკაცრად ზომიერი, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ცხოვრებაში უადრესად ლაღი, თამაში, მეგობრობაში ანგარიშმიუცემელი, თბილი და გულსხმიანი იყო. შემოქმედებითი წევით თავდაფიქრებული, როცა კი სცენას დროს წაართმევდა, მოწყურებული ირემივით დაეწაფებოდა ხოლმე ცხოვრების ძუნწ სიტუაციებს და მეგობრებთან ლაღობას გატაცებით ეძლეოდა. ფაქიზი, მოსიყვარული გული ჰქონდა, საკუთარ ხედავს არავის აგრძნობინებდა, ლხინს ყველას გულუხვად უზარებდა, თავისი ჭირის მკურნალად კი მხოლოდ საკუთარი თავი მიაჩნდა. სცენაზეც და პირად ცხოვრებაშიც იგი სინარულის ადამიანი იყო.

და ამიტომ არის ასე მძიმე და აუნაწლარებელი აკაკის დაკარგვა, დაკარგვა ნაადრევად, — შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, როცა ენერჯიით აღსავსე და სათქმელს ჭერ კიდევ დახარბებული იყო.

ბარბინა ძარბალიშვილი

მარჯანიშვილის თეატრის დასს კიდევ ერთი შეხანიშნავი მსახიობი გამოაკლდა. დიდი რეჟისორის ბუდიდან აფრენილი შევარდნები — შალვა დამბაშიძე და გიორგი შავგულიძე, პიერ კობახიძე და ალექსანდრე გომელაური, ახლა აკაკი კვანტალიანი ბედისწერასავით ერთმანეთს ისე მიხვდნენ, რომ სამოცა წელიც არ შესრულებათ, შემოქმედებითი დაღლილობა არ უგრძნიათ.

აკაკი კვანტალიანი მეტად კოლორიტული და ფერადოვანი შემოქმედი იყო. ბუნებამ იგი ხალასი ნიჭითა და დიდი აქტიორული უშუალობით დააჯილდოვა. მას ხასიათის არსში ღრმად წვდომის, მისი რაციონალური მარცვლის სწრაფად პოვნის უნარი და შეუმცდარი მხატვრული ალღო ჰქონდა. მაგრამ ბუნებით მინიჭებული ამ სიკეთით მსახიობი ანგარიშმიუცემლად არ სარგებლობდა. თვითმყოფილება და შემოქმედებითი სიმშველდე მისთვის პრინციპულად უცხო და მიუღებელი იყო. აკაკი კვანტალიანი ბევრს მუშაობდა, დაუცბრომლად

ჩვენი პუბლიკაცია

ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ტიციან ტაბიძე (1895-1937) დიდად იყო დაინტერესებული ქართული საბჭოთა პოეზიის ახალგაზრდა კადრების აღზრდით. საქართველოს მწერალთა სასახლეში, სახელგამში თუ ყურნალ-გაზეთების რედაქციებში, მოსულ დამწყებ მწერლებს იგი მუდამ გულისხმიერად ესაუბრებოდა, უწევდა კონსულტაციას, ხოლო როცა დანიახავდა, რომ ახალგაზრდა მწერალი სწორ გზაზე დგას, აძლევდა მის ნაწარმოებს რეკომენდაციას რედაქციებში, სადაც ტიციანის სიტყვას დიდი ინდობა ჰქონდა.

ტიციანი პოელობდა დროს გასაუბრებოდა თბილისის გარეთ მცხოვრებ დამწყებ მწერლებსაც.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ტ. ტაბიძის ერთ ბარათს, გაგზავნილს ცნობილი ქუთაისელი პედაგოგის, ლიტერატორისა და მკვლევარის გიორგი მსხილაძისადმი.

გ. მსხილაძე (1910-1958) აღრევე

იყო დაინტერესებული მხატვრული ლიტერატურით; სიკაბუკის წლებში იგი წერდა ლექსებსაც; თავისი პირველი პოეტური ცდები მას გაუგზავნია ტიციანისათვის, სურდა გაეგო მისი აზრი თავისი ლექსების შესახებ.

ტიციანმა მას უმალ უპასუხა. აი მისი ბარათი:

„ძვირფასო ამხანაგო და ძმაო გიორგი მართალია, არ გიცნობთ, მაგრამ ყველა ახალგაზრდა, რომელსაც უცვარს ლექსი, ჩემი მეგობარიც არი და ძმაც. თქვენგან ორივე ბარათი მივიღე. პასუხი დავაგვიანე, რადგან მინდოდა საქმიანი წერილი მომეწერა, მაგრამ ამჟამად გადამიდგია.

იქნებ ვიყო ქუთაისში მალე, თქვენც გაიგებთ ჩემს ჩამოსვლას და პირადად გეტყვით. თქვენი ლექსები ჩემს გარდა სხვა პოეტებმაც წაიკითხეს, რადგან ისეთ დროს მივიღე ხასახლეში, როცა კრება გვქონდა; „ქართულ მწერლობაში“ გვინდა გავხსნათ ახალგაზრდობის ფურცელი და დავა-

ბეჭდინებ როგორც ახალგაზრდულ ნიმუშს... პოეზია ისეთი საქმეა, რომ აქ ჩრევას და წინაწარმეტყველებას ძნელად დაეჭირება; ღელოს ის გაიტანს ბოლომდე, ვისაც შერჩება პოეზიისა და საზოგადოდა სიყვარულის გრძნობა... მეც ვისურვებთ ამ სიყვარულს და იმედი მაქვს ამას ისე გაიგებთ, როგორც ძმურ სიტყვას — პოეტის მხაჭული მისი გულია და სინდისი. ვწუხვარ, მეტს ვერ გწერთ. მაგრამ ზოგს ახლაც გაიგებთ — მანამდე გული არ გაიტნობთ და იმედი გქონდეთ ჩვენი ამხანაგებისა. თქვენი ტიციან ტაბიძე. თბილისი, 11 აპრილი, 1929 წელი“.

ეს პატარა ბარათი ნათლად მეტყველებს ამ შესანიშნავი პოეტის დიდ ადამიანურ გულისხმიერებაზე; ამას გარდა, ამ ბარათს აქვს ერთგვარი მნიშვნელობაც ყველა ახალგაზრდა პოეტისათვის, რომელიც პირველად იწყებს გამოსვლას ამ რთულ და ძნელ ასპარეზზე.

პავლე ხმალაძე

შეუიან შეგინის გზით გაჩაღი

საბჭოთა კავშირში სულ ასამდე ბოტანიკური ბაღია, მაგრამ აქედან სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ფუნქციები მინიჭებული აქვს მხოლოდ ოთხს, მათ შორის თბილისის ბოტანიკურ ბაღს. ჩვენი მეცნიერ მუშაკები ახლა აქ მუშაობენ მცენარეთა ინტროდუქციის, აკლიმატიზაციისა და მწვეანე მშენებლობის საკითხებზე; სხვათა შორის, მათ გამოიყენეს კაკლის ახალი ჯიშები და ორმოცდაათზე მეტი ახალი სახეობის მცენარე გადასცეს თბილისის გამწვანებისათვის. მთელ ამ საქმიანობას სათავეში უდგას პროფესორი მამია გოგოლაშვილი, რომელიც უამრავ ენერჯის ახმარს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი რესპუბლიკის ბაღების კეთილმოწყობას.

ჩვენი ბოტანიკური ბაღის მესვეურები აღგენენ ტყე-პარკების, ბაღების, საქარხნო-საფაბრიკო ტერიტორიების გამწვანების პროექტებს, შემდეგ უშუალოდ აღენებენ თვალს ამ პროექტების განხორციელებას. ბოტანიკური ბაღის პარკთა მშენებლობისა და ლანდშაფტური მებუღარობის განყოფილების მუშაკებმა ხორცი შეასხეს რუსთავეის მტკვრისპირა ტყე-პარკის რეკონსტრუქციას, განახორციელეს პარკის მშენებლობა თვით ქალაქ რუსთავეში, მოაწყვეს ლიკანისა და ბორჯომის პარკების რეკონსტრუქცია, საფუძველი ჩაუყარეს ბაღებსა და პარკებს გორში, საჩხერეში, სოხუმიში, ქუთაისში, გაგრაში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში.

ამას გარდა, ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს სასწავლო ბაზას, სადაც ყოველწლიურად პრაქტიკას გადიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტები. ბაღის მუშაკებს მკვიდრო კავშირი აქვთ დამყარებული როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის 170-ზე მეტ ბოტანიკურ დაწესებულებასთან. თვით ბაღი, რაც დრო გადის, სულ უფრო ლამაზი და მომხიბვლელი ხდება.

ერთი სიტყვით, ეს ბაღი — თბილისის მშვენიერება და სიამაყეა. ამიტომ ყველა თბილისელი მის პატრონად უნდა გრძობდეს თავს, უნდა უფრო თხილდებოდეს და უვლიდეს ამ მშვენიერ კუთხეს.

მაგრამ იქცევა ყველა ასე? არა. აღრე აქ, სათუთად მოვიღო გავონებზე ხშირად წააწყდებოდით მოქვიფეთა ნაკვალევს — ცარიელ ბოთლებს, კონსერვის კოლოფებს, გაზეთის ნახევებსა და საჭმლის ნამუსრევს; დიდი ენერჯია დასჭირდა ბაღის ადმინისტრაციას, რომ აღეკვეთათ ყოველივე ეს, მაგრამ ამ ბალმუხუმიში „თითო ჭიქის გადაკვრის“ მოსურნენი დროდადრო მაინც ეტანებიან აქაურობას. ზოგი საიდან სად

მოტანილ, წვითა და დავით გავრდილ უნიკალურ ხეზე თავის ინიციალებსა ჭრის, ზოგი თავის სახელს სკამებსა და ქვებზე ტოვებს, ზოგიც ისე, უბრალოდ, ამტვრევს ტოტებს და თელავს ყვევილებს. ბოტანიკური ბაღის მეცნიერმა თანამშრომელმა მელიტა ექვთიშვილმა მრავალი წლის შრომის შემდეგ გამოიყვანა იშვიათი ჭიშის შავი ვარდი, რომლის თითო ძირი სახელმწიფოს 2 ათასი მანეთი დაუჭდა. სამი ძირიდან ორი ვილაძამ ფესვისად ამოვლჯა და სადაც გადაეკარგა.

ჩვენს წინ მილიციის ბოტანიკური ბაღის საგუშაგოს სარეგისტრაციო წიგნია. დღე არ გავა, რომ მილიციის მუშაკებმა მასში არ აღბეჭდონ წესრიგის დარღვევის შემთხვევები. გული გეტყინება, როცა ამ წიგნს ვაღახვებ. აი, ცირა რამზაშვილი და მერი პალაქაშვილი, დიასახლისები. პირდაპირ გიკვირს კაცს, რა ამოძრავებდათ ამ ოჯახის ქალებს, როცა ბაღში, ერთ-ერთი ფანჯარის წარწერებს ამტვრევდნენ? თბილისის წყალსადენის მუშაკი ნუნუ ქელიძე, ქარხანა „ელექტროგამშვების“ მუშა ოპარ გერმესაშვილი, სტუდენტი ლეონიდე პაპიაშვილი, პენსიონერი თამარ ჭანუაშვილი, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშა გურამ ჩიქობავა, კომკავშირელი ვალერი მოსესიანი და მოქალაქე მიხეილ ოპანოვი ამტვრევდნენ ნარგავებს, თელავდნენ ყვავილებს, ჭრიდნენ და ტყებდნენ ბამბუქს. მე არ ვიცი როგორ სწავლობს სკოლაში ოთარ თეთრუაშვილი, მაგრამ აქ კი არც თუ საქებური ბეგითობა გამოუჩენია: ბაღში წითელი საღებავი შემოუტანია და სკამებზე თავის ინიციალები დაუწერია. მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც „ელექტროგამშვების“ მუშა რამან სულიკაშვილია და ღვინის ქარხნის მუშების სურენ სარქისიანისა და სურენ სიმონიანის საქციელია: მილიციის მუშაკებმა ამ ვაჭბატონებს სწორედ მაშინ მიუსწრეს, როცა ისინი კომკავშირის ხეივანზე აღმართული „ქართლის დედის“ კალთებზე აბლოტებულიყვნენ და შავი საღებავით მასზე აპირებდნენ თავიანთი სახელების გამოყვანას.

მილიციის სარეგისტრაციო წიგნი აჭრელებულია ასეთი ამბებით. სამწუხაროდ, აქ ყველას ვერ დაასახელებს კაცი. მაგრამ ისინიც, ვინც ამ წერილში არ მოხვდნენ, იქნებ ჩაუფიქრდნენ თავიანთ საქციელს და საჭირო დასკვნები გამოიტანონ!

ეს ბაღი ჩვენი საგანძურია, აქ კეთდება მეტად საჭირო და კეთილშობილური საქმე. აქ მომუშავე ადამიანები ცდილობენ გაალამაზონ ჩვენი ცხოვრება, და შეუშალო მათ ხელი, გააპარტახო ჩვენი დედაქალაქის ეს მშვენიერი კუთხე. ნამდვილი მკრეხელობა!

ტარიელ ჯანიაშვილი

სოფელი დავალუ, მის სამხრეთით მდებარე გურაკები და უკაცრიელი უდაბნოები წარსულში გველების ბუდედ ითვლებოდა. ჩვენს დროში აქ არხები გაიყვანეს. თაკარა მისიგან ამომწვარი ეს შიშველ-ტიტველი მიდამოები ბაღ-ბოსტანებითა და ვენახებით მოიფინა. ამის შემდეგ ამ ადგილებში მოხინაღრე გველითა ხროვის ნაწილი გაწვდა, ნაწილიც გაშორდა აქაურობას.

წინათ კი ჩვენ, მონადირეები შიშით და კრძალვით მივდიოდით ამ მხარეში.

და აი, ერთხელ გავხვდით და წავიდით. გავიარეთ რკინიგზის სადგური არარატი (უწინდელი დავალუ). ავეყვით გორაკს და ერთ უღალ კლდეს მივადექით. დორდი, უდაბნოს წიწვნარი და მიწაზე ფესვებამოყრილი მცენარეები. სიცხე-პაპანაქება, ხვავი. ავეისტოს თევში აქ დორდი ისე ხურდება, რომ მონადირეს ქალამნები ეწვის.

ჩვენ დავიმალენით კლდის მიმართულებით, ბილიკის განაპირას, ის იყო შემოგვეფთხა დამფრთხალი ჭერიანი. მალე მას სხვებიც მოაყვნენ — ყველა მათგანი საოცრად ლამაზი, კონტა ფენებით და მშვენიერი ტანით. დაიგრუნუნეს ჩვენმა თოფებმა და ერთი ჭიარანი იქვე დაეცა უსულოდ, დანარჩენები კი იმ წამს გაუჩინარდნენ; ჩავედით კლდეებზე და რის ვაი-ვაგლახით მივადექით მოკლულ ჭერიანამდის.

ჩასვლისას ერთმა ჩვენმა ამხანაგმა თქვა:

— დღეს აქ აუარებელ გველს გადავაწვდებით.

— საიდან იცი?

— ვიცი, წლის ამ დროს გველები მთებიდან დაბლობში ჩამოდიან, არარატის ველზე. უკვე შემოდგომაა, მთაში აცივდა, გველებიც თავიანთ აგარაკიდან თბილ მინდორში მოდიან წამთრის გასატარებლად.

— გველებიც დადიან აგარაკზე? — გავოცდი მე.

— დიახ, ყოველ წელს, როგორც კი სიცხეები იწყება, უთვალავი გველი მიცურავს მთისკენ სააგარაკად.

საშინელმა შიშმა შემიპყრო, ნადირაკიდებული ძლივს ამოვიდი კლდეზე.

ამ სიცხე-პაპანაქებაში, ხევში გარეულ ვაზებს წავაწვდით. ახლა ჩვენივით პირდაპირ ბედნიერება იყო, ეს შავი და ყვითელი გარეული ყურძნის დაძოძილი მტევნები. ბუნებას ამ მივარდნილ კუთხეში ფაქიზად შემოგნახა სომხეთის ყურძნის წინაპარი, და ჩვენც წყურვილისაგან შედონებულები ხარბად შევქვეცით ამ ხილს.

ჭამით რომ გული ვიჭრეთ, მერე მტევნებით ავეისეთ სანადირო ჩანთები და გავემგზავრეთ რკინიგზის სადგურ არაზღაიანისკენ.

ოცდაათიოდ ნახიჯე, კლდის ძირას ისევ ვაზები ვიმოვით, უფრო კარგად ესხათ, ყურძნისც უფრო ტკბილი და გემრიელი იყო. სანამ მე წელი ნახიჯით მივუახლოვდებოდი, უცბად თხის კიკინის მსგავსი ხმა შემომესმა, მხრიდან თოფი გადმოვიდე; ამ დროს ვაზებში შავი თოკივით რაღაც შევამჩნიე და, იმავე წუთს, ჩემი ამხანაგის შემამარწუნებელი ყვირილი შემომესმა.

უმალვე მივირბინე მასთან, გველი გაუჩინარებულიყო, მხოლოდ ჩემი ამხანაგის მაჯაზე პატარა უმნიშვნელო გაქაწრული აღმოვაჩინე.

მაჯა უსივდებოდა, კაცს სახეზე უეცრად მკრთალი ფერი დაედო, ტუჩები გაულურჯდა.

რა ვქნათ?

„აბა სწრაფად, გველების მომჭალოებელ ბებერთან“ — წამოვიძახე მე.

იმავე წუთს თოფის თასით მაგრად შევუკარი მკლავი, ისე მაგრად, რომ სისხლი გაუჩრდა ძარღვებში. როცა სწრაფი ნახიჯით გზის გაწვდექი, მხოლოდ მაშინ-ღა შევამჩნიე გარეულ ვაზებში და ბილიკებზე მოსრიალედ აუარებელი გველები, რომლებიც სისინით მიიზღაწნებოდნენ ქვევით, არარატის ველისაკენ.

ჩვენს ამხანაგს მაჯა თანდათან უსივდებოდა, სადგურ სურენავანზე რომ მივედით, იმისი თითები კიტრებოვით იყო გასივებული.

მოუთმენლად ველოდით მატარებლის ჩამოდგომას.


„გადარჩება თუ არა“ — საშინელი აზრი მიტრიალებდა თავში.

როგორც იქნა მატარებელიც ჩამოგდა და ჩვენ წავიყვანა სადგურ დავალუში, სადაც იმ დროს ცხოვრობდა განთქმული დედაბერი ჭავჭავიანი, რომელიც გველის ნაკბენს ჭკურნავდა.

სადგურში ჩამოვიდით და გავწიეთ ქაღალქარი ბებრის სახლისაკენ.

გველების მომჭალოებელი დედაბერი ირანადან კარგა ხნის ჩამოსული იყო ჩვენს ქვეყანაში. ამ დედაბერს დანაოქებული სახე და უდაბნოს ჭრელი გველის გამომეტყველება ჰქონდა.

რას არ ჰყვებოდნენ მასზე! იმასაც კი ამბობდნენ, რომ თურმე ნერწყვილი მას შხამის საწინააღმდეგო საშუალება აქვს და როდესაც თავის



ასე უკვდავყო ვილაც ტოლიამ თავისი სახელი.



ნერწყვს ჩაუშვებს გველის ნაკბენ ჭრილობაში, შხამის ნეიტრალიზება ხდება და ადამიანიც გადაარჩება სიკვდილს.

ამ დედაბერმა სახელი ისე გაითქვა, რომ მარიეტა შაგინინამ მასზე ვრცელი ნარკვევი დაწერა და დედაბერის სურათთან ერთად „კომუნოკში“ გამოაქვეყნა. იმ სურათზე ჭავჭავიძის გულქანდასავით უღელზე შემოხვეული ჰქონდა უდაბნოდან ჩამოყვანილი საწარელი გველი.

ჭავჭავიძის აუჩქარებლად გასინჯა ჩვენი ამხანაგის ჭრილობა, შხამი ტუჩებით ამოსწოვა და შიგ თავისი ნერწყვი ჩაუშვა, მერე რაღაც მწვანე დაბეჭვა, ზედ დაადო, შეუხვია, შემდეგ, მოგვათავსა რა თავის „საავადმყოფოს“ პალატაში, გვითხრა:

— ახლა მშვიდად დაიძინეთ! როცა ამხანაგმა ჩაიძინა, შევედი დედაბერის ოთახში და შევეკითხე:

— იმედი გაქვთ, რომ მორჩება? მან ირონიულად ჩაიციხა, ერთი ამხედ-დამხედა და შემიტოვბა:

— იცი, რას გეტყვი? ათასზე მეტი სულიერი გამოიმბრუნებია საფლავის კარიდან. როგორი საქმეა?

— ძალიან კარგი, — ვუთხარი მე და უცებ ტუვანაკრავით ადგილზე გავშეშდი: დავინახე, რომ დედაბერის მკერდიდან გველმა თავი ამოყო და თავისი წითელი თვალები შემომანათა.

შემშინებული გადავხტი უკან. დედაბერი წინ წამოვდგა.

— იალუ (შხამი) უკვე წყალად იქცა, მალე სიმისვენც გაუფიქსი. წადი ახლა, შენც დაიძინე, — და თავისი ჯადოსნური თვალებით მომაშტერდა.

დილით ბავშვის ტირილმა გამომადვილა. ჩავიცვი და გვედი მეზობელ ოთახში, საიდანაც ტირილის ხმა გამოდიოდა. აკვანძი ჩვილი ყრმა იწვა და ბებნას ტირილით რაღაცას ეხვეწებოდა; იქვე იდგა ჩვენი ნაცნობი ჭავჭავიძის, ბავშვს თითს უქნევდა და იმეორებდა:

— ჭიპზე რომ გასკვდი, არ მოცემი! — რა მოხდა, რას გეხვეწებდა? — შევეკითხე მე.

— ზახრუშალი და დვთის ცეცხლი უნდა მაგ ძაღლის ლეკვს. გველი უნდა, რომ ეთამაშოს.

მე ადგილზე გაქვევადი, ამ დროს დედაბერმა ტახტიდან გადმოიღო სახარსული სუნდუკი, გახსნა და ერთი-მეორეზე სუნდულად გველების ორი გორგალი მიუღწეო ბავშვს აკვანძე.

— აბა, აიღე შე ძაღლის ლეკვი! ბავშვი უმალვე გაჩუმდა, დიდად ნახიამოვნებმა დაიწყო ღერადღერადი „სათამაშოებით“ ვართობა.

ამ გორგალიდან ერთი წვრილი, გრძელი და თავზე პაწაწინა რქებიანი გველი გამოძვრა, თიანით დაიკივნა, გაცოცხდა ბავშვის მუცელზე, აშელ-ყელავდა, თავი მიიტანა აკვანძის ზედა სახელურამდე, მოეხვია და კული ძირს ჩამოუშვა.

თხის ასეთი კიკინი გარეული ყურძნის კრეფის დროს მომესმა.

გორგალიდან ერთი დიდთავიანი, ბრტყელი, მეტრნახევრისი და ჩემი მაჯის სიმსხო გიურსა დინჯად გამოსრიალდა — და კუთხეში მოკუნტულ კატას გადახედდა.

გველები აკვანძე აქით-იქით გაიფანტნენ, ბავშვმა ამ გველებიდან ერთი ჭრელი გველი ამოიჩინა, რომელსაც აქაური მცხოვრებნი „შაშმარს“ ეძახოდნენ და უღელზე შემოიხვია. მე გავშტერდი, თუმცა ვიცოდი, რომ ეს გველი ძალზე უოჩალი და მარდია, მაგრამ შხამი არა აქვს.

თავზარდაცემმა ურუხტელმა გამიარა მთელ სხეულში, როცა ჭავჭავიძის მეორე სუნდუკი წამოაპირქვა, საიდანაც გველების მთელი ნიაღვარი გამოსრიალდა. მათ კარის ზღურბლისაკენ გამოსწიეს, იქით, სადაც მე ვიდექი.

ყველას ფართოდ დაღვთ პირები, შუაზე გაყოფილი ენები გამოეყოთ და სისინით მოსრიალებდნენ; მათს შორის იყო ორი სომხური ჭრელი გველი, რომლებიც ჩვენში ყველაზე შხამიანებად ითვლებიან.

სანამ მე ელდანაცემი კარებთან მივირბენდი, რომ გარეთ გავქცეულიყავი, უცბად ვიღაცის ხელმა შემაჩერა. დედაბერი იყო. იმისი თვალების საიდუმლო ელვარებაში ახურად ამგდები საყვედური ამოვიკითხე.

— რაო, შენი ხორცი უფრო რბილი და გემრიელია, თუ ბავშვისა?

— ბავშვისა — ცხცხით გავეცი პასუხი; გველები უკვე ფეხებთან მომიხლოვდნენ.

— თუ ასეა, დაე მისი შეეშინდეს, შენ ხომ ამოდენა კაცი ხარ, რისა გეშინიან?

გველი მომიხლოვდა ფეხებთან, წვივზე შემომეხვია და თავაწეული შესცქეროდა დედაბერს, თითქოს იმის ბრძანებას ელოდებოდა.

ჭავჭავიძის ჩემთვის უცნობი, არაადამიანური ხმა გამოსცა, მსუბუქად უჩქმითა გველს კისერზე. ამაზე წაისისინა, პირი გააღო და კბილები ჩამირტო ფეხის რბილ ნაწილში. ბებერმა ღიმილით შეომხედა ათრთოლებულ ტუჩებზე და წარმოთქვა:

— მშობარავ, დაგვიწყდა, რომ ჭავჭავიძის სახელში ხარ?

მერე გამოსწოვა ჭრილობა, შიგ ნერწყვი ჩაუშვა, დაბეჭვილი მწვანე რაღაც დადადო, შემისვია და გამისტუმრა.

მეზობელ ოთახში ჩემი ამხანაგი უკვე დამშვიდებული დამხვდა. მკლავის სიმისვენე დაწეულიყო, სიცხესაც დაეკლო.

მან გაიღმა კიდევ; ჩემი ამხანგი რომ ვუთხარი, ფეხზე შემომხედა და მითხრა:

— ხედავ? ჭრილობა არ კი გისიდებდა! — ნერწყვი არ უშვებს? — გამხნევებულმა შევეკითხე მე.

— მე მგონი, ნერწყვი არაფერ შუაშია, აი სხვა ჭრილობის ამოწოვა, თანაც რაღაც ძალა შესწევს ალბათ იმ მწვანეს, რომელიც პირდაპირ შხამს სჭრის... უკვე კარგადა ვარ, არ ჩავიცვით?

სახლიდან გამოვედი და გავწიეთ საფლის მტკიანი ქუჩებით: ყველა სახლის წინ გაშენებული იყო ხეხილის ბაღები და ვენახები, ერთ ვენახში თორმეტი წლის გოგონამ შეგვიპატიუა, თურმე ჭავჭავიძის შვილიშვილი იყო.

ჩვენ სიამოვნებით შევიტყუოდით ტბილ და სურნელოვან ატამს, მხსალს, ყურძენს, გოგონა კი ამ დროს განუწყვეტლად კიკიკიებდა:

— ჩემს ბებიას ძალიან აწუხებდნენ, ჯადოქრობას აბრალებდნენ. ისიც ქალაქში წავიდა, მთავრობასთან. პროფესორები შეიკრიბნენ და ბებიას ჰკითხეს — რით ჰკურნავ გველის ნაკბენს? უპასუხა — ამოწოვით, ნერწყვით და მწვანითო. გაუყვირდათ, არ დაიჭერეს. ამ დროს ბებიაჩემმა მკერდიდან ერთი გველი ამოიყვანა და უთხრა:

„აბა, მომიყვანეთ აქ ორი ბავშვა და თქვენი გამოჩენილი ექიმებიო“. მოიყვანეს. ბებიაჩემმა თქვა — გამაშადეთ თქვენი წამლები, რომ მოაჩინოთ გველისაგან დაკბენილი ბავშვა. პროფესორებმა ყველანაირი იარაღ-ინსტრუმენტები და აუარებელი წამლები მოამზადეს.

ბებიაჩემმა გააბრაზა გველი, აკბენინა ბავშვებს და ერთი ბავშვა აიყვანა, ნაკბენი ალაგი მკარატლით გაპარსა. ჭრილობა ამოწოვა, ნერწყვი ჩაუშვა, მწვანე დადადო და წარმოთქვა: „ჩემი ბავშვა უკვე ჩამართულია, თქვენი როგორ არისო?“

პროფესორებმა თავები ჩაქინდრეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზომა იხმარეს, რაღაც შეუშხაპუნეს სისხლში, მაინც ვერაფერი უშველეს, ბავშვა უკვე სულსა ლედა.

ამის მხახველმა პროფესორებმა ბებიაჩემს მოწმობა მისცეს და ნება დართეს, რომ გველის ნაკბენს უწამლოს. მთავრობამ ფულიც მოგვცა, რომ ბებიაჩემმა სახლი ააშენოს, ხელფასი დაუნიშნეს სიკვდილამდე, რომ უფრო კარგად უმკურნალოს გველისაგან ნაკბენი.

სომხეთში გავრცელებული ოცი ჯიშის გველებისაგან მარტო ოთხი შხამიანი, დანარჩენებს შხამი არა აქვთ. მე დავრწმუნდი, რომ ბავშვის აკვანძე მიყრილ გველიდან ზოგი უშხამო იყო, ზოგსაც კბილები ჰქონდათ ამოძრობილი. ასე იყო თუ ისე, ჭავჭავიძის საოცარი გავლენა მოახდინა ჩემზე, მეტადრე მაშინ, როცა შევიტყუარი მის აწითლებულ ქუთუთოებიან თვალებს. იმის ერთ გამოხედვავზე ძვალ-რბილში ურუხტელი მივლიდა. აი რით აჯადოებს ის როგორც გველებს, ისე ადამიანებსაც. იგი რაღაც „მწვანეს“ ხმარობდა, რაც წინარებისაგან ჰქონდა ნასწავლი და რასაც დიდ საიდუმლოდ ინახავდა. წარმოიდგინეთ, თავის მემკვიდრეებსაც არავის არ გადასცა; მისი მწვანე წამალი სინამდვილეში უფრო ძლიერია, ვიდრე

ბრაზილიის მცენერების მიერ ნაპოვნი შხამის საწინააღმდეგო საშუალება (ანტიტოქსინი).

ამ მეთოდით ჭავჭავიძის ცხოველებსაც არჩენს.

— ვედუს რაიონის კოლმეურნეობებიდან იმდენი გველის ნაკბენი ცხოველები მოჰყავთ ბებიაჩემთან, — კვებნი ამბობდა ჭავჭავიძის შვილიშვილი.

— მაინც რამდენი? — ვეკითხები ამ ცქრიალა გოგონას.

— მარტო ამ თვეში ბებიაჩემმა მოარჩინა შვიდი ხარი, ოთხი ძროხა, რვა ცხვარი, ხუთი ცხენი და ოთხი კაცი.

— შენ თვლიდი ყველაფერს?

— ბებიაჩემი წერა-კითხვის უცოდინარია, იმისი მონაგარიშე მე ვარ, — წარმოთქვა გოგონამ, უცებ გამცილდა და ატმის ხეზე ავიდა.

— მე სწორედ შენი დაჭერა მინდოდა, — წუნარად გამოელაპარაკა ვიღაცას.

ჩვენ ავიხედეთ ხეზე და ოი, საოცრებავ, ერთი შავი გველი ჩამოკიდულიყო ატმის ტოტზე და მუქარით შესისინებდა გოგონას. ეს რა საწარელი სოფელია, საითაც გაიხედავ, გველია... გოგონა რაღაც ხმით ეილობდა გველის დაყოლიებას, მაგრამ ის არ ემორჩილებოდა. ცდა უშედეგოდ დამთავრდა, გოგონა სასწრაფოდ ჩამოვიდა ხიდან და სახლისაკენ მოკურცხლა.

გაიქცა, რათა „სამკურნალო დახმარება“ მიეღო ბებიისაგან.

ამ შემთხვევის შემდეგ სოფლის კოლმეურნეობისაკენ გავსწიეთ.

მალაზიაში ხმაური იყო, ალბათ ახალი საქონელი მიეღოთ.

შევედიო მალაზიაში და ჩვენ თვალწინ შემდეგი სურათი გადაიშალა: ჭავჭავიძის წელან ბაღში დაჭერილი გველი მიეშვირა გამუდვებისათვის და უუყვიროდა:

— ერთი საქაბე მომიტყერი, თორემ ახლავე ვაკბენინებ!

საწყალი გამუდველი შიშისაგან დახლის ქვეშ მიკუნტულიყო და ეხვეწებოდა:

— დეიდაჯან, შენი ჭირიშე, ამჭერად მაპატიე, ცოტა მივიღეთ და ვერ მოვცემ.

— აი, მეხი კი დაგაყარე, შენს ნაცნობ-მეგობრებს ხომ მისცემი მარტო ჩემთვის არა გაქვს? არაფერი არ ვიცი, თუნდაც მიწიდან ამოთხარი და ერთი საქაბე გადამიტყერი, თორემ მოვდა, ახლავე ყელზე შემოგახვევი!

ქალები შიშისაგან კუთხეში მიკრუნხულიყვნენ, ბავშვებს დედების კალთისათვის ჩაეკილათ ხელი და გაცილებული შესცქეროდნენ, ხოლო ახალგაზრდები გულიანად ხიბობებდნენ.

— გამუდვებმა, უზარმაზარი გველის სისინით შეშინებულმა, კანკალ-ცხცხით ერთი საქაბე გადაუტყრა და გადასცა დედაბერს.

— აბა, აიღე შე მიხსენი ამ შარისაგან!

— არა, ტბილად უნდა მომცე, თორემ გამოუშვი, — მიუგო ჭავჭავიძისა და გველი მიუშვირა.

— არა, არა, ბოდიშს ვიხდი, დამნაშავე ვარ, დეიდაჯან, შენი შვილის მუცეს ვენაცვალე, აიღე, საჩუქრად გაძღვე, — შეშფოთებით დაუმატა გამუდვებმა.

— აი, ეგრე, ახლა თავისუფალი ხარ, — საერთო სიტყვით დამთავრა თავისი ხუმრობა დედაბერმა.

ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ეს უცნაური დედაბერი გარდაიცვალა. იმის ნერწყვის სამკურნალო თვისების შესახებ პირდაპირ ლეგენდები გავრცელდა; ეს კი არის, რომ მთავარი საიდუმლოება მან არავის გაუშუღავნა, იღუპულად შეინახა გველის შხამის გათხრობებით იმ მძლავრი მცენარის სახელი, რომელიც მან იცოდა და რომლითაც სარგებლობდნენ ჩვენი წინაპრები.

ეს ნარკვევი კარგა ხანია დაწერილი მაქვს. მას შემდეგ ათეული წლები გავიდა, ძველი დავაღუ ახლა აღარ არსებობს.

მისი ალიზიანი ქოხმანების ადგილზე უმშვენიერესი სახლებია წამოჭიმული, ახლა აქ მუშათა ქალაქია — ცემენტის და კირის ქარხნებით, მინდვრები კი დაფარულია ვენახებითა და ბამბის პლანტაციებით.


გველებს, რა თქმა უნდა, აქ იშვიათად-ლა წააწყდებით.

სომხურიდან თარგმანა იგანა დავითიანმა

10.369



ჩვენი აივნები



„მრავალაივნიანი ქვეყანა“ — ასე უწოდა მაქსიმ გორკიმ საქართველოს. აივანი, სოფლადაც და ქალაქადაც სახლის მშენებანა. ქალაქის ქუჩას ის თავისებურ ეშხსა და იერს აძლევს.

როგორ გამოიქვირებინ ჩვენი აივნები საბურთალოზე, დიღომში, ავჭალის დასახლებაში, მესამე მასივში და თბილისის სხვა ახალ საცხოვრებელ უბნებში?

გაიარეთ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, პავლოვისა და პეკინის ქუჩებზე, ანდა, თუ გნებავთ, აკაკი წერეთლის პროსპექტზე და მაშინვე დარწმუნდებით, რომ აქაურ მცხოვრებლებს აივნები სულ სხვადასხვა „სტილით“ და სხვადასხვა „მეთოდით“ გაუფორმებიათ. აივნის ასატინად ზოგს შიფერი და მუყაო გამოუყენებია, ზოგს ფიცარი, ზოგს ტილო, ზოგს ბრენენტი და ვინ მოთვლის კიდევ რა და რა...

ჩვენი აივნების „მორთვა-მოკაშვება“ მართლ ამით როდი მთავრდება. მომდგარან შემდეგ მოხინაღრები და ათასგვარი მასალით აფიცრული და ატორული აივნები ერთს წითლად შეუღებავს, მეორეს — მწვანედ, მესამეს — ყვითლად, მეოთხეს — ციხვრად, მეხუთეს — ნარინჯისფერად და ა. შ.

საბჭოთა კავშირის არა ერთ ქალაქში უკვე კარგა ხანია, რაც მოგვარდა ეს საკითხი. იქაური მშენებლები წინდწინვე ითვლისწინებენ მოსახლეობის სურვილს და საცხოვრებელი შენობის ყველა აივანს ერთი რომელიმე, გემოვნებით შერჩეული მასალით ტინარვენ და შემდეგ ერთი ფერით ღებავენ.

ასეთი მეთოდით რამდენიმე სახლი თბილისშიც აშენდა. ეს პრაქტიკა ფართოდ უნდა დაინერგოს ჩვენი ქალაქის ახალმშენებლობებზე. კარგი იქნება თუ სახლმშობრელობის მუშაკები, არქიტექტორებთან ერთად, მოითათბირებენ და თვითული სახლის მოხინაღრებს მისცემენ რჩევას, რომელი ფერით შეიძლება შეიღებოს ყველა აივანი.

ო. ბარიშვილი

როგორც გავთები იუწყებიან, ქ. საკასანში მუშაობა დაიწყო „ბელის“ ფირმის ახალმა სატელეფონო სისტემამ. ახლებური ტელეფონის საშუალებით აბონენტს შეუძლია აკრიფოს კიდევ ერთი ნომერი და საუბარში ჩართოს მესამე მოსაუბრე, შეუძლია მეოთხეც გამოიძახოს, მესუთეც და ა. შ. ამ ტელეფონით სრულიად ადვილად შეიძლება თათბირების, კონფერენციების, პლენუმებისა და კრებების ჩატარება.

ახალი აპარტი ატყობინებს მოსაუბრეს იმის შესახებ, რომ მასთან შეერთება სურს სხვა აბონენტსაც. წასვლის წინ შეგიძლიათ დაავალოთ თქვენს აპარატს, რომ ზარი ვადმართოს იმ მისამართზე, სადაც თქვენ იქნებით.

ეს არის, რომ იტყვიან, სატელეფონო კავშირის „ახალი სიტყვა“. მაგრამ ეს „ახალი სიტყვა“ ჩვენთვის, თბილისელებისათვის უკვე ძველია; ეგ კი არა და, გვარიანდაც მოგვაბეზრა მან თავი. თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაკთა მეთვლიანობის წყალობით ერთი ტელეფონით ასეთი თათბირების, პლენუმებისა და კონფერენციების მოწყობა კარგა ხანია დამკვიდრებულია ჩვენში.

ვთქვათ ურეკავთ მეგობარს ან ნათესავს.

— ნოდარი ხარ?

— მე ვარ, ვახტანგ, სადა ხარ აქამდე?

— დედა, დედა, ხელათ არ დაგაქრენ ყელზე ფებს! — შეიცხადა ანაზდად ვიღაც ქალის ხმამ, — ისილორე, გესმის?

— მესმის, ნუნუკას ვენაცვალე, მესმის. მაგრამ აბა რა გიშველო!

— აცადეთ ადამიანებს ლაპარაკი! — მხარი აუბა ისილორეს ქაბუქურმა ბარბიტონმა, რომელიც, როგორც ჩანდა, სულგანბული უსმენდა მათ საუბარს.

— გესმის, ვახტანგ, რა ამბავია? — ჩაიცინა ნოდარმა, მაგრამ ნუნუკამ აღარ აცადა.

— რა ამბავი უნდა იყოს, ბატონო, კაცს არა ეკლავთ და არა ვქურდობთ, ვბაასობთ და გვაცადეთ ახლა ლაპარაკი.

— ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ქალბატონო, — ბოდიშის კილოთი მივეუბნე უხილავ ნუნუკას, — არც გვიფიქრია...

— თქვენ რას ფიქრობთ, სულაც არ მინტერესებს... ისილორე!

— მე ვახტანგი მქვია, ქალბატონო!

— სასიამოვნოა, მაგრამ მე თქვენ არ გიცნობთ!

— ჩაიფლურტულა ქალმა.

— აქ ვარ, ნუნუკა, მე ვარ ისილორე! — დიღორილა მისმა თანამოსაუბრემ, — მოეშვი მაგ ოხერს, ვილაცა!

— ოხრის ხმა მესმის! — ვიფეთქე მე.

— ამხანაგებო, — დაიწყო ქაბუქურმა ბარბიტონმა, — ხომ არ იცით რომელი საათია?

ანგარიშმიუტეკლად დავხედე საათს.

— ხუთის ნახევარია, — ერთად ვუბასუხეთ ოთხმა ხმამ.

— ფეხბურთი ექვსზე იწყება, არა?

— თუ მამა ხარ, ზედმეტი ბილეთი გექნება! — შაქარყინულით გაუხდა ხმა ნოდარს.

— ბილეთს ტელევიზორი არ სჯობია, ბიჭო?

— ჰოდა, იმას გეტუბნებოდი, ისილორე, სახამთრო არ დაგაფიყდეს, უმკველად იყიდე!

— ნოდარ!...

— არ გესმის, ვახტანგ...

— მოიცათ, ხალხო, ახლა ამ ორ ამხანაგს ვთქმევინოთ სიტყვა! — ჩაერია ისევ ქაბუქური ბარბიტონი.

სამარისებური ღუმილი ჩამოვარდა.

— ნოდარ... — დაბალი ხმით წამოვიწყე სათქმელი. — არა, ისევ შინ მოვალ და იქ გეტყვი ყველაფერს.

— აქ რის გერიდება, შე კაცო, — ჩაიხიხითა ისილორემ.

დავკიდე მილი და შუბლიდან ცივი ოფლი მოვიწმინდე.

ნაკლები გამოგონება? პატენტსაც არაფინ თხოვლობს!

ელ. ბოსონელი

ჭრისიანი მსპინძლეები

— თუ ხათრი გაქვთ, მომხედეთ, ერთი საათია გელოდებით! — ოფიციატმა ქალმა ისე ჩამიარა, ზედაც არ შემოუხედავს ჩემთვის.

— სედა, მეხი კი დაგუარე, რამდენჯერ უნდა გითხრა, ჩემს ზაკაშებს ნუ იღებ-მეთქი, — მჭახე ხმით უყვიროდა იგი კაფეს ამ ბოლოდან იმ ბოლოში მეორე ოფიციატს, — ტვინი არ წაიღო ამ ქალმა!

სედა იქიდან გამოსძახოდა რაღაცას. მერე ორთავემ მებუფეტებს დაუწყეს ჩხუბი. ჩემს გვერდით მაგიდას გადავხედე. მთელს ოჯახს მოეყარა თავი. ეტყობოდათ, შორიდან ჩამოსული სტუმრები იყვნენ. ბავშვებს მოშვივლოდა და მოუთმენლად წაიღოდადენ სკამზე.

კიდევ თხუთმეტი წუთი ველოდე. ოფიციატებმა და მებუფეტებმა გასარკვევი ვერ გაარკვიეს და წუთვლა-კრულვით გაშორდნენ ერთმანეთს.

— რა გნებავთ? — ბოლოს როგორც იქნა იკადრა ჩემთან მოსვლა ოფიციატმა ქალმა.

— ჭერ ეს ააღაგეთ, გეთაყვა, — დავხედე ჩემს წინ მაგიდაზე დარჩენილ ნამუსრევს.

— ჭერ ერთი, ნუ მიბრძანებთ! — წარბი შეიკრა ოფიციატმა. სედასგან განაწყენებულს, ეტყობოდა, გულის ბუხარი ჩემზე უნდოდა ამოეყარა, — და მეორეც, ამის ალაგება ჩემი საქმე არ არის!

— არც მიფიქრია თქვენთვის რაიმე მებრძანებინა, — დაუწყავე მე, — აბა, ამ ნახმარ ქურჭელს არაფინ ააღაგებს მაგიდიდან?

ოფიციატმა ათვალწუნებით დამხედა, მხარი აიჩჩა, თეფშები მეზობელ მაგიდაზე გადააწყო და ტილოს ერთი მოხმით ნამცეცხვა იატაკზე გადაყარა.

კიდევ ათი წუთი ველოდე. ბოლოს გამოჩნდა, ხელში ბივჭტქსიანი თეფში ეჭირა. თეფშს ნაპირები ამტვრეული ჰქონდა. დაღო მაგიდაზე და წასვლა დააპირა.

— პური? ჩანგალი?

თავგაბეზრებულად ამოიხორა და ისეთი უანგმოღებული და დალაქავებული ჩანგალი მომიტანა, ხელს ვერ მოჰკიდებდი. როდეს-როდის იყო, პურიც მაღირსა, ჩანგლის მაგივრად იმ პურის ხმელი ყუა-ლა მოვიშველიე.

— ქალბატონო, ბოლოს და ბოლოს როდემდის უნდა გვაცდევინოთ! — მართა ოფიციატს მეზობლად მოკალათებული ოჯახის მამამ — მაგ მაგიდაზე უკვე მეოთხე კაცი იწყებს საუშმეს. ჩვენ აღარაფერი უნდა გვადირსოთ?

— გაცდევინებთ, თორემ ბალ-მასკარადზე მიგჩქარებათ! — მკვანდე მოუჭრა ოფიციატმა ქალმა, — თქვენ ათასი ხართ, მე ერთი. დავიღალე ბოლოს და ბოლოს!

მეოთხელო, თუ ჩვენი დედაქალაქის ცენტრში, რუსთაველის მოედანზე მოხვდით და იქვე, რესტორნების ტრესტის კაფე „ქართულ ჩაიში“ შესვლა დააპირეთ, ფეხი არ შეგიცდეთ. ეს ავი ოფიციატი ქალი სწორედ იქ მუშაობს და, რაც არ უნდა კარგ გუნებაზე იდგეთ, მაინც უხამად შეგარგებთ საუშმეს.

ჩვენ მაინცდამაინც მის დასჯას კი არ მოვითხოვთ; ამიტომ აქ არც მის გვარს ვასახელებთ. მაგრამ ცუდი არ იქნება, თუ ცოტა ხანს დაფიქრდება თავის საქციელზე. და დაე, სხვებმაც გაითვალისწინონ ეს, ნუ გაუტებენ სახელს კაფეს თუ რესტორანს, სადაც მუშაობენ.

ვლ. ბოსონელი

ეჭიძე.



ზაქანს, სახსარი?

დაახლოებით ასოდე წლის წინ, ლახორში (ინდოეთი) ერთი უცნაური ექსპერიმენტი ჩატარეს. აქ, საგანგებოდ აგებულ შენობაში, ორმოცი დღე, ყოველგვარი საჭმელ-სასმელის გარეშე, მცველებით გარშემორტყმულს, მშვიდად ეძინა ერთ იოგს, სახელად ხარიდას. იოგთა რელიგიური კასტის წარმომადგენლის ხარიდას გამოდიებდა მრავალრიცხოვანი დამსწრეების თვალწინ მოხდა. იქ მყოფთ ფრთხილად გახსნეს ყუთი და მჭიდროდ თემოკრული ტომრიდან ადამიანის გაშეშებული სხეული ამოიღეს. ექიმი ამაოდ ეძებდა პულსს; დამსწრეთაგან ბევრს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ იოგი მკვდარი იყო. მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი: ერთმა ინდოელმა ჭაბუკმა იოგს სხეულზე ცხელი წყალი გადაასხა, თავზე დაადო გაცხელებული ცომი, ყურებიდან და ნესტოებიდან ამოაცალა ბამბა და ცვილი, ყბები გაუხსნა და ენა გამოუწია. ხარიდამ ამოისუნთქა და თვალები გაახილა.

ექიმები შემდგომშიც ხშირად უვირდობდნენ იოგების მიერ საკუთარი ნებისყოფის ძალით გამოწვეულ ისეთ მდგომარეობას, სადაც თითქმის შეუძლებელი იყო სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარის გარჩევა. ასეთი ხელოვნური „მიცვალებულის“ მდგომარეობა იოგებს საშუალებას აძლევს წყლის ქვეშ დაჰყონ საათნახევარი — ორი საათი დრო (ცნობილია, რომ პროფესიული მყვირთავეების მსოფლიო რეკორდი ჩამდენიმე წუთს არ აღემატება).

რა არის ეს, სასწაული? მისტიკა? არა, ყოველივე ზემოაღნიშნული არის გულმოდგინე ვარჯიშის შედეგად წინასწარი განვითარება იმ რთული და ამოუწურავი მექანიზმებისა, რომლებიც ყველა ადამიანის სხეულში არსებობენ. მართალია, ფიზიოლოგები და ბიოქიმიკოსები დღევანდელ ეტაპზე ზუსტად ვერ ხსნიან ამ მოვლენას, მაგრამ ისინი ადამიანის ორგანიზმში მსგავსი ფენომენების არსებობის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ.

უმთაჯა ასეუნიდან

უძველესი ფილოსოფიური სისტემა, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა როგორც ინდოეთის ჩრთ-ერთი რელიგიური კასტის — იოგების მოძღვრება, ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში (ძვ. წელთ აღ.) ჩამოაყალიბა ინ-

დელმა ბრძენმა პატანჯალიმ. შემდგომში, როცა პატანჯალის მიმდევრებმა კიდევ უფრო განავრცეს და განავითარეს ეს მოძღვრება — ინდოეთმა მსოფლიოში თანდათან მოიპოვა „სასწაულების ქვეყნის“ რეპუტაცია.

იოგები ყოველთვის იდგნენ მოახროვნე ადამიანთა ყურადღების ცენტრში. მათი მოძღვრება მსოფლიოში ერთადერთი რელიგიური სისტემაა, რომლის ცალკეული მხარეები დღესაც საინტერესოა ფიზიკოსების, ბიოქიმიკოსების, ფსიქოლოგების, ფიზიოლოგებისა თუ ექიმებისათვის.

იოგების მოძღვრება იმთავითვე მოითხოვდა ადამიანის დაუღალვე, შეუპოვარ სულიერ და ფიზიკურ წყურთას. სხეულის საკუთარი ნებით მართვის ხელოვნება იოგებისათვის შესაძლებელი ხდებოდა დიდი ნებისყოფისა და ფსიქიური დაძაბვის შედეგად და ამ მხრივ იოგები გასაოცარ შედეგებს აღწევდნენ.

ყოველივე ის, რაც დააჯიჯგო ინდოეთის უძველესმა ხალხურმა მედიცინამ, რომელმაც იოგების სისტემაში ჰპოვა ასახვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს ფსიქოლოგებისა და ფიზიოლოგების კვლევის ერთ-ერთ საინტერესო პრობლემას წარმოადგენს.

სუსხიჯი მოყვავყენი

ინდოეთში, აფრიკასა და პოლინეზიის კუნძულებზე, უხსოვარ დროიდანვე, ასობით ადამიანი მონაწილეობდა ე. წ. „ცეცხლზე სეირნობის“ ცერემონიაში. აი როგორ მიმდინარეობს ეს გასაოცარი სანახაობა: შვილი-რვა მეტრის სიგანის, არც თუ ისე ღრმა ორმოში, ყრიან წინასწარ მომარაგებულ გამხმარ შეშას და ცეცხლს უკიდებენ. ცეცხლის ალი დაახლოებით დღეამიწის სიმაღლეზე ვიზიზიზებს. ირგვლივ გაისმის დაუდაფების გამაყრებელი ხმა. ადამიანები შედიან ალმოდებულ ადგილზე და მშვიდად დაბიჯებენ ცეცხლზე.

ქიმიური ანალიზით დამტკიცდა, რომ ამ ცერემონიაში მონაწილეებს ფეხებზე არაფერი ცეცხლსაწინააღმდეგო ნივთიერება არ აქვთ წაცხებული, მიუხედავად ამისა, მათ ფეხის გულზე არც დამწვრობა ეტყობათ და არც ბუბერები უჩნდებათ.

გვინეაში, იქაური მკვიდრნი დიდხანს ცეკვავენ ალმოდებულ ცეცხლზე, ბოლოს ერთი მათგანი ნაკვერჩხლიდან იღებს გაწითლებამდე გავარვარებულ დანას და მის ფეხზე უძრავად დგას დანის სრულ გაცეხამდე.

ეს მაგალითები ჩვენ იმითმ მოვიტანეთ, რომ მკითხველებს დავანახოთ — საშინელი ტკივილისადმი უგრძობლობის უნარი მარტოოდენ იოგებს როდი გააჩნიათ. ადამიანში

მოცემული ამ შესაძლებლობის შექანიზმი, როგორც ეტყობა, მეტად ღრმაა და ოგი დღევანდელ მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ შეუცნობია.

ქესაძლებობა ამოწურავია

1955 წლის დამლევს, ინდოეთის მთავრობის თხოვნით, ერთმა ახალგაზრდა იოგმა და მისმა ექვსი წლის შვილმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ინდოეთში მყოფ საბჭოთა დელეგაციას.

იოგი მამა ზურგით დაწვა მინის ნამტვრევებზე და მუცელზე დაიდო დაფა, რომელზეც თორმეტი მოზრდილი კაცი შედგა (მათი საერთო წონა დაახლოებით რვაას კილოგრამს უდრიდა); შემდეგ ფიცარნაგზე სატვირთო ავტომობილმა გადაიარა. არც შვილმა დაუდო ტოლი მამას: ექვსი წლის ბავშვმა ერთ ტონაზე მეტ დატვირთვას გაუძლო.

მამისა და შვილის კუნთები ისე ემორჩილებოდა მათ ნებისყოფას, რომ მუცელი ხან ქვესავით მაგრდებოდა, ხან კი ისე დუნდებოდა, რომ წინიდან თავისუფლად შეგვეძლოთ მოგვესინჯათ ხერხემალი.

პრაქტიკაში ცნობილია მრავალი შემთხვევა როცა არა თუ იოგი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, აფექტის დროს, გამალებით გლეჯს ბაგირს, ლეწავს რკინის ნაჭრებს, ადგილიდან ძრავს ისეთ სიმძიმეებს, რომლის დაძვრავზე ფიქრდაც ვერ გაივლებდა მშვიდ მდგომარეობაში ყოფნის დროს.

გამორიცხული არ არის, რომ წყურთაც, რომელიც თითქოს ანეითარებს კუნთებს, მნიშვნელოვან წილად ამყლებებს და რელიზაციას უკეთებს ჩვენში უკვე ჩასახულ ფიზიკური ძლიერების დაფარულ მარაგს.

ქიჯაჯიუნი ზეჩეტი

ტიბეტში, ერთი მონასტრიდან მეორე მონასტრისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე, რომელიც მთის ფრიალო ქარაფებს გასდევს, უმთვარო ღამეში, გასაოცარი სისწრაფით დარბიან იქაური ბერები. ეს ბერები მოჭირთე ცხენის საშუალო სიჩქარით გარბიან, საათში 30-40 კილომეტრს გადიან და ერთ ღამეში დაახლოებით 200 კილომეტრს ფარავენ.

მდგომარეობა, რომელშიც ბერებს თავიანთი თავი მოჰყავთ სირბილის დაწყების წინ, სრულიდაც არ არის

გამოცდილი მორბენალ-მწიქანოქნის ჩვეულებრივი აღზნებული-მზადყოფნა სტარტის წინ. ეს-მდგომარეობა მთავარულ მდგომარეობაში გადართვის ჯერ კიდევ ამოუცნობ სახეს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ მთავარულს შეუძლია იაროს აიგის მოაჭირებ, სახლის სახურავზე, სხვადასხვა ვიწრო საგანზე. თუ მთავარულს, რომელიც საშინ ადგილზე გადის, შევუძახებთ, გამოფხიზლების შემდეგ იგი შეშინდება, დაფრთხება და ძირს ჩამოვარდება. მხოლოდ ადამიანის გრძობითი ორგანოებისა და წონასწორობის აპარატის შეუფერხებელი მუშაობა აძლევს მთავარულს მოძრაობას სიზუსტეს და თვითდაჯერებას.

მართალია, იოგები ბილიკებზე დიდი სიჩქარით დარბიან, მაგრამ ისინი რომ შევაჩეროთ, მაშინვე გამოვლენ ტრანსის მდგომარეობიდან და შედარებით ნელა და გაუბედავად დაიწყებენ მოძრაობას, ვიდრე ისევე ხელახლა არ მიეცემიან მთავარული ადამიანის ექსტაზსა და ალტკინებას.

სიყვარული გზით საიდუმლოება

ჩვენ ვიცით, რომ ძილი აუცილებელია ორგანიზმის ცხოველყოფილობის აღსადგენად, რომ უძილოდ ადამიანს არ შეუძლია სიცოცხლე.

ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევა, რომ ერთ იოგს, რომელიც ლოცვის გამუდმებულ ექსტაზში იმყოფებოდა, რამდენიმე წელი არ სძინებია. აქვე უნდა გავიხსენოთ ბრესაში ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობა. ეს ცნობა ოუწყებოდა, რომ იუგოსლავიაში ცხოვრობს ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ოცი წელი არ სძინებია და მიუხედავად ამისა, მხნედ და ჯანმრთელად გრძნობს თავს.

უნდა ვიფიქროთ, რომ იუგოსლავიელი ახალგაზრდის ტენი (ბავშვობაში გადატანილი მძიმე ტრავმის შედეგ) როგორღაც ისე შეიცვალა, რომ სიცოცხლისათვის აუცილებელი პროცესები, რომლებიც ჩვეულებრივ ძილში მიმდინარეობს, ამ ახალგაზრდის ორგანიზმში სხვა გზებით წარმართნენ.

მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე ამ შემთხვევების ამომწურავი ახსნა შეუძლებელია, მაგრამ მომავალი თაობა თანდათან ჩასწვდება ამ საიდუმლოს, ისევე, როგორც ჩვენ ბევრი გუშინდელი საიდუმლო ამოვხსენით.

იოგების მიერ მრავალწლიანი ვარჯიშით მიღწეული განსაცვიფრებელი გამძლეობა — მხოლოდ ელემენტებია ჩვენი ხელოვნური ცოდნისა ადამიანის ორგანიზმში მოცემულ ამოუწურავ შესაძლებლობებზე.

იუპოზი

გულუბვი კაცი იყო და თავისთვის არაფერი არ დაიტოვა. სუფრასთან ერთი უცხო კაცი მოხვდა, რომელმაც თამაშის ვინაობა არ იცოდა. მან ჰკითხა თავის მეზობელს:


- ეგ კაცი რაზე მუშაობს თქვენთან?
- რას უჭვია მუშაობს, ეგ ჩვენი ღირებულობა!

სწორედ შესაფერი დროა, გაიფიქრო გუნებაში და თამაშად შეაღო კარი, დაჭდა მადიანთან.

- რას დალივ? — მცხივით დაეცა თავზე მომტანი.
- ვალიდოლს, — უბასუნხა წილი.



ღილით ამხანაგმა დაურეკა, დღეს ჰერუინსკის კლუბში ზაფხულის მოდების ჩვენებააო.
 — რა ვქნა, ქალო, პანაშვიდზე ვარ წასახვლედი — უთხრა რუსიკომ და ამოიხრა.
 — აბა, კარგად შეყოლიე, გენაცვალე! — გაისმა ყურმილში.
 — არ დაკიდო, მაცალე სულის ამოთქმა, შე ქალო!
 — ფიქრის დროა ახლა?
 — შენ რას იტყვი, გოგო? მკვდარი არსად გაიქცევა, არა? — არ დასჭირვებია დიდი ყოყმანი.
 — აბა რა ახალი მოდელი კი, თუ გამოფენაზე არ ნახე, მერე სად ნახავ!



როდემდე შეიძლება კაცმა იაროს წელზეხსნილად? რას იზამ თუ ქამარი ვერ იშოვებ, სული კბილით უნდა გეჭიროს და შარვალი ხელით.
 მეორე ნახევარი დაუძახე შენ და, ჩემმა მეორე ნახევარმა მთელი ქალაქი შეძრა ჩემი სარგო ქამრის საზოგნად. საღამოს კი სახლში ხელცარიელი მაინც არ დაბრუნებულა.
 — რა ვქნა, ჩემო კარგო! შენი ზომის ქამარი წამლადაც არ იშოვება და სამაგიეროდ წონაში დასაქლები წამალი მოგიტანე. დალიე ეს და მაშინ პატარა ქამარიც გაფრედება!



ერთმა გულუბრყვილო კაცმა ლატარიაში „ვოლგა“ მოიგო და პირველი სინარული მეგობარს გაანდო:

- ამ ბილეთში ახლა ორმაგ ფასს მოგცემენ, — უთხრა მეგობარმა.
- მეორე დღეს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.
- რა ჰქენი?
- შენ ავაშენა ღმერთმა, ოცდაათკაპიანი ბილეთი სამოც კაპიად გაუყიდე!
- ეს ანგდოტია.



დაწებებულების მუშაკებმა პატარა პურ-მარტილი მოაწყეს და, ცხადია, თამაშად თავიანთი ღირებულონი აირჩიეს.
 თამაშად-ღირებულონი პირველი სადღეგრძელო მოადგილეს მიუძღვნა, ჩემი მარჯვენა ხელიაო; მეორე სადღეგრძელო — მთავარ ინჟინერს, ჩემი მარცხენა ხელიაო; მესამე — ბუღალტერს, ჩვენი თავიაო; მეოთხე — პირად მდივანს, ჩვენი ყურიაო.



შინაურები აგარაკზე იყვნენ, სახლში არავინ ეგულებოდა, ამიტომ რესტორნისაკენ მიდიოდა შიო, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა.
 რამდენჯერ უთქვამს შიოს, ნეტავ ფეხი მომტეხოდა და რესტორანში არ შემოვსულიყავიო. ამ სინანულის მიზეზი ის უახლდათ, რომ შიო შხოლოდ მჭამელი კაცი იყო, მსმელი — არა. თბილისის რესტორნებში კი არის ასეთი დაუწერელი კანონი: „ვინც არ სვამს, ის არც ჭამს!“
 აი, რესტორანშიც, ვიტრინის სქელი შუშიდან შეავლო თვალი დარბაზს; ნაცნობი არავინ ჩანდა.

...თავის სახელზე ცოლიც არ ჰყავს გაფორმებული, ბანკში ფული სიმამრის სახელზე აქვს, ორსართულიანი სახლი — სიდდერის სახელზე, აგარაკი — ცოლისძმის სახელზე, მანქანა — მეორე ცოლისძმის, ხუთი ჰყავს ცოლისძმა, აბა!
 რაში სჭირდება სხვისი სახელი? მოგახსენებთ: ყველაფერი აქვს, სახლის გარდა, ყველაფერი, და, რაც მთავარია, ბედი. ამას წინათ ლატარიაში „ვოლგა“ მოიგო.
 ...ესიც ანგდოტია! მას, რომ ჰკითხო ეს ანგდოტია არ არისო. ყოველდღე იხარებენ პარკურატურაში. თქვენ წარმოიდგინეთ, ამაზეც იხივებს ამბოზს — პარკურატორიც ლატარიაში მერგო!

გაიოზ დახინანი

გარეკანის პირველ გვერდზე: მთავრული გურამ თიანაძე. ფოტო მისივე.
 მეოთხე გვერდზე: ბავშვთა ტექნიკური სადგური. ელექტროგიტარის ოსტატები.
 ფოტო თარხან არჩვაძისა.

გასწორება: ჩანართის მეორე გვერდზე, შ. კვასხაძის წერილში, ქვემოდან მეორე აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ასევე საინტერესოა შ. შეყლაშვილის „სვანეთი“.“

ნომერი გააფორმა თენგიზ გოგოლაძემ.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. ხაკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. შპსი 30 კპპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VIII-67 წ. გამოცე. № 295 ქალ. ზომა 70x108/16, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79 პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფინკურ ფორმათა რაოდენობა 4,8, ტირაჟი 35.700. შეკვ. № 3172 უფ 04979

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



სვანეთი. ფოტო ცქვიტი კეცხოველისა.

გორი. ქალაქის პარკი. ფოტო მ. პეტრიაშვილისა.



ბ 28/183

ეროვნული
ბიბლიოთეკა

